619
1973



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 12
დეკემბერი
1973




# ნომერშია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 1. „იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!“ — წერილი მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის კონგრესზე.

ხუთწლედის ადამიანები

გვ. 2. თენგიზ გოგოლაძე ნარკვევში „ჰოი, ადგილნო. არაგვის პირნო...“ მოგვითხრობს ჟინვალჰესის მშენებლებზე.

გვ. 5. ივერი ტაბიძის ნარკვევი გვიამბობს ხაშურელ მექანიზატორთა ერთი ოჯახის ცხოვრებაზე.

გვ. 6. გურამ ბახტაძე ნარკვევში „ასმათ მასწავლებელი“ გვესაუბრება ლენინის ორდენოსან ასმათ ბაუჟაძეზე.

პოეზია, პროზა

გვ. 8, 10. ქვეყნდება ბაგრატ შინკუბას და ლადო სულაბერიძის ლექსები.

გვ. 11. რევაზ ინანიშვილის მოთხრობა — „უბედენთიანების უკანასკნელი აფეთქება“.

ჟურნალში ქვეყნდება აგრეთვე აგული დადიანის საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ევგენი ხარაძესთან: ერემია ქარელიშვილის მოგონება ეკატერინე გაბაშვილზე; ფოტომოთხრობა — „ხელმეორედ დაბადება“. გარდა ამისა დაბეჭდილია უცხოური იუმორისტული მოთხრობები, კროსვორდი,ნაირ-ნაირი და გ. ფირცხალავას, დ. ერისთავისა და ა. ერაძის იუმორისტული ჩანახატები და სხვ.

გარეკანის პირველ გვერდზე: ჟინვალჰესის მშენებლობაზე, ფოტო თარხან არჩვაძისა. ჩანართის მეორე და მესამე გვერდებზე: „მრისხანე კავკასიონი“— ფოტოდოკუმენტები კავკასიის დაცვის 30 წლისთავის აღსანიშნავად.
გარეკანის მეოთხე გვერდზე: სტუდენტები — ფოტო ბონდო დადვაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (445) დეკემბერი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“, 1973

# იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშვიდობისმოყვარე ქალების მსოფლიო კონგრესი

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 25-31 ოქტომბერს მიმდინარეობდა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ისტორიაში. ჩვენს პლანეტას არ ახსოვს მშვიდობის მომხრეთა ასეთი დიდი მასშტაბის შეკრება-ფორუმი, როგორიც ეს კონგრესი იყო. თვითონ ის ფაქტი, რომ ამ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 144 ქვეყნის 3.200-მდე დელეგატი, შეკრების გრანდიოზულობაზე მეტყველებს. ეს 3.200 დელეგატი იყო წარმომადგენელი 1100 ეროვნული და 120 საერთაშორისო ორგანიზაციისა.

იმ დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ცნობილი არიან თავის ქვეყანაში, მონაწილეობდნენ პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაცია, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაცია და სხვ.

25 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი. სცენის შუაგულში ეკიდა კონგრესის ემბლემა: პალმის ტოტი დედამიწის სფეროს ფონზე. სასახლის დარბაზი დელეგატებითა და სტუმრებით იყო სავსე. მთავრობის ლოჟაში ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინის და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. დელეგატები მხურვალედ მიესალმებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურებს. პრეზიდიუმში იყვნენ კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციათა და მოძრაობის ხელმძღვანელები, მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლები, ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტის წარმომადგენელნი...

...ყველა ელოდა ამ სიტყვას. და როცა თავმჯდომარემ რომეშ ჩანდრამ, რომელმაც 26 ოქტომბერს გახსნა სალამოს სხდომა, განაცხადა რომ კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის თხოვნაზე თანახმაა კონგრესის დელეგატთა წინაშე სიტყვით გამოვიდეს ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, დარბაზში იქუხა ტაშმა. დამსწრენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ სასიხარულო ცნობას.

დიდი ყურადღებით მოისმინეს კონგრესის მონაწილეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ლ. ი. ბრეჟნევის ნათელი და ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელშიც საფუძვლიანად და ყოველმხრივ გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, ბრძნულადაა განმარტებული და დასაბუთებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კონსტრუქციული მიდგომა მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ კონგრესზე წარმოთქმული სიტყვა ყველა კონტინენტის მშვიდობისათვის მებრძოლებმა აღიქვეს როგორც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა დამსწრეთ მოუთხრო საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის შესახებ, პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის დიდი პროგრამის შესახებ, რომელიც ჩვენს თვალწინ, ცხოვრებაში ხორციელდება.

ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა კონგრესის მაღალ ტრიბუნაზე განაცხადა:

„თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამოხატულება იყო პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა. როცა ამ პროგრამას ვაყენებდით, ამოცანად ის მიგვაჩნდა, რომ ხელი შეგვეწყო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის, დავხმარებოდით კაცობრიობას თავიდან აეცილებინა თერმოატომური კატასტროფის ჩამოწოლილი აჩრდილი, ყოველნაირად შეგვეწყო ხელი დაძაბულობის შენელებისათვის. და ამ კეთილშობილური მიზნებისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ვმუშაობთ და კვლავაც ვიმუშავებთ ძალ-ღონის დაუზოგავად!“

მოსკოვის მშვიდობის კონგრესზე სუფევდა ერთსულოვნება და ურთიერთგაგება. სიტყვებით გამოვიდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა შორის მშვიდობა. დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის უდიდეს დამსახურებას კაცობრიობის წინაშე. კონგრესზე აღინიშნა ისიც, რომ მშვიდობის ძალების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ჩვენს პლანეტაზე პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას.

დიდი ძვრები მოხდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოებისა და ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის ურთიერთობაში. უკანასკნელ პერიოდში დადებულმა ხელშეკრულებებმა ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებას.

დიდია მნიშვნელობა მოსკოვის კონგრესისა. ეს არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნიერებაზე მშვიდობის დამკვიდრების ბრძოლის დიდ გზაზე, კაცობრიობის მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანების გზაზე. კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება უფრო აქტიურს გახდის მშვიდობისმოყვარე ძალებს.

მოსკოვის კონგრესს მთელი მსოფლიო უსმენდა. მის მოწოდებებს გამოეხმაურა მილიონობით პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანი. კონგრესის ხმა გაისმა რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ დიდ მოწოდებად, ყოველგვარი აგრესიისა და ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის დიად მოწოდებად.

მშვიდობის ძალები უძლეველია. დღესაც მქუხარედ გაისმის ჩვენი გალაკტიონის ბრწყინვალე სტრიქონები: იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!









მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ./მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

19144



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ჰოი, ადგილზე არაგვის პირზე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

ფოტო თარხან არჩვაძისა

## ხუთწლედის ადამიანები

ვინ არ მოუხიბლავს საქართველოს სამხედრო გზის სილამაზეს! გასცდები მცხეთას, ნატახტარს, შეხვალ არაგვის ხეობაში და მთები თავს წამოგადგებიან, როგორც მძლეთამძლე დევკაცები.

დგანან და ელიანო, უთქვამს ვაჟას. ალბათ დიდ ძვრებს თუ ელოდნენ, ელოდნენ დიდხანს და აი, დიდი ძვრის ჟამიც დადგა.

თუ დაგვჭირდა, მთებსაც შევძრავთო, უთქვამთ ჩვენი დროის ადამიანებს.

თითქოს კავკასიონს მთა-გორაკები აკლდეს, ჟინვალჰესის მშენებლებს განუზრახავთ ერთი დიდი გორაკიც შემატონ არაგვის ხეობას. ამ გორაკს მშენებლები კაშხალს უწოდებენ, რომელიც წინ უნდა დაუხვედრონ ხან საამურად, წყაროსავით მორაკრაკეს, ხან კი აბობოქრებულსა და მრისხანე არაგვს. ამ გორაკს დაუხვედრებენ, საუკუნეობით სავალ გზას ჩაუკეტავენ და მთებიდან გიჟურად მოვარდნილი არაგვი სულს მოითქვამს.

გიჟმაჟ მდინარეს იქნებ ვერც წარმოუდგენია სადმე დაგუბდეს, ტბად იქცეს და გაირინდოს!

მაგრამ რას იზამ, ჩემო არაგვო! მალე შენ თავს ველარ იცნობ, ჟინვალთან ცისფერ ტბად გადაიქცევი. ნუ შეშინდები, მთლიანად როდი შეგაჩერებენ. შენი შეჩერება ვინა თქვა! პატარა ხარ, მაგრამ დიდგულა და ღონიერი. და აი, ახლა შენი ღონე დაგვჭირდება. ქართლის ქედის კალთაში უკვე გიმზადებენ საგდებ გვირაბებს, სადაც სულ თავისუფლად გაეტევი, რაგინდ მოდიდდე. მოდიდდი, იდინე, როგორც გნებოს, იმრავლე, როგორც გნებოს, შენებურად ზათქით დაეცი კაშხალთან აგებულ მიწისქვეშა ელსადგურის ტურბინებს. გაიხარებ, ღმერთმანი! შენ ხომ გიყვარს ხმაური და ძალის გამოჩენა. ჰოდა, იმარჯვე, შეუტიე ტურბინებს და იქეც ელდენად. ეს ხომ უფრო მეტი ძალაა, ვიდრე შენ გაგაჩნია. ეს ის ძალაა, რომელიც ქვეყანას ამოძრავებს.

ამ ორმოცდაათი წლის წინ ავჭალასთან შენ უფროს ძმას — მტკვარს მიეშველე, ორმოცდაათი წელი მასთან ერთად აბრუნებდი ზაჰესის ტურბინებს. ახლა კი მარტოდმარტოს მოგიწევს დიდი ჯაფის გალება, ზაჰესზე უფრო მძლავრი, უფრო დიდი ელსადგური უნდა აამუშაო. ეს ხვედრი გერგო შენ.

მართლაცდა, გინდა რომ ასე, ცოცხალი ადამიანივით ესაუბრო გიჟმაჟ მდინარეს, გააგებინო რა უნდა გარდახდეს მას ჟინვალთან. მას ხომ მართლაც ჯერ ვერ წარმოუდგენია რას უპირებენ.

როცა ამ ორმოცდაათი წლის წინათ მტკვარზე, ზემო ავჭალაში, ჰიდროელსადგურის აგება დაიწყეს, მშენებლები მიწას ხელის ურიკებით ეზიდებოდნენ, ორიოდე საბარგო მანქანა და ერთი ორთქლით მოძრავი ამერიკული ექსკავატორი იყო მთელი იმდროინდელი ტექნიკა. რასაკვირველია, ცხოვრების წინსვლამ, დრომ, ძირფესვიანად შეცვალა მშენებლობის ტემპები და საშუალებანი. სად მაშინდელი გაქანება და სად ახლანდელი!

ზაჰესის კაშხალის სიმაღლე 18 მეტრია, ჟინვალჰესის კაშხალი კი 110 მეტრი სიმაღლისა იქნება, რომელიც მდინარის ახლანდელ კალაპოტში, ჟინ-

ვალს ქვემოთ, ექვსასმეტრიან ფუძეს გაიდგამს და ასე, მთებშორის გაჭედილი ახალი გორაკი შეაკავებს 520 მილიონ კუბიკურ მეტრ წყალს.

აღარ იქნება სოფელი ჟინვალი, სოფელი გუდრუხი და ანანურის ნაწილი... ნუ შეკრთებით, ჟინვალში ბევრი არაფერია დასანანი, გუდრუხიც ადვილად გაიმეტება, ხოლო ანანურში, არაგვის ხეობის იმ ნაწილის მშვენებას კი — ანანურის ციხეს საძირკველთან მოელაციცება ტბის ანკარა წყალი. ალბათ მაშინ ანანურის ეს ლამაზი ციხე თავმომწონედ ჩაიხედავს წყალსაცავის ცისფერ სარკეში და პირველად დაინახავს თავის თავს, შეიგრძნობს თავის სილამაზეს და ტბაში ასარკული ორმაგად მომხიბლავი გამოჩნდება.

დიახ, აი საიდან სად დაგუბდება არაგვი. ეს გუდამაყრისაკენ. არაგვის მეორე ტოტი ხომ ფშავის ხეობაში ჩამოდის. ტბის ნაწილი იქითაც გაიწევს და კარგაძალზე დაიფარება ამჟამად არაგვის პირზე მიმავალი ბარისახოს გზა. კარგაძალზე დაიფარება საქართველოს სამხედრო გზის ნაწილიც ჟინვალიდან ანანურს იქით. ახალ გზებს მშენებლები ახლავე სჭრიან მთების ფერდობებზე. როცა არაგვი დაგუბდება და უზარმაზარ ტბად გადაიქცევა, მთები ამ ადგილას დაჩიავდება, ახლადგაჭრილი გზები ტბისპირას მოექცევა... მაგრამ ამ დაჩიავებულ მთებს იქით მდგომი მთები გადმოიხედავენ. და მთათა სიდიადე მაინც დარჩება. ვინ იცის, იქნებ უფრო ლამაზიც იყოს არაგვის ხეობის ეს ნაწილი. იქნებ იყოსო?! ლამაზი კი არა — ულამაზესი იქნება. აქ, ამ ტბისპირას გაშენდება დასასვენებელი პანსიონატები, წყალსაცავში მოშენდება უამრავი თევზი. არაგვის წყალი ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა სასმელ წყალთა შორის, ჰოდა...

ლამის დამავიწყდა, ჩემო არაგვო. ჟინვალის ქვემო წელიდან, თავისუფლად აღარ გაგიშვებენ. აქედან სულ სხვა გზას გიმზადებენ. აქამდე თუ მთებშორის მიდიოდი, ახლა მთებში გაჭრილი გზით თბილისის ზღვისკენ მოგცემენ გზას. გზაში კიდევ ერთ დიდ საგუბრად იქცევი. თბილისის ზღვასთან კი გაგფილტრავენ, გაგასუფთავებენ და ადამიანთა მაცოცხლებელ ძალად დაგიშვებენ ქალაქში. ბევრის ოჯახში აჩუხჩუხდები. რამდენიც შენ დაგლოცავს, იმდენი წელიწადი ლხენა ნუ მოგაკლდება!

არაგვო, შენ ყოველდღე ხედავ იმ ადამიანებს, რომელთაც ასეთი საქმეები განუზრახავთ, ყოველდღე ხედავ მათ, ხან გვირაბებში მოფუსფუსეთ, ხან მანქანებით, ხან მაღლა, გზის მშენებლობაზე, ხან ბეტონის ახალი ქარხნის პოლიგონზე...

...შემოდგომის ოქროს დღე იყო, როცა მე და ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტი თარხან არჩვაძე ჟინვალჰესის მშენებლობაზე მივედით. ოქროს დღე, მზიანი დღე! ლომის-ალევის, გუდამაყრისა და ქართლის წითელყვითლად აჭრელებული ქედები ოქროცურვილი გამხდარიყო.

საერთოდ, კორესპონდენტების გამოჩენაზე, მშენებლები იქნებიან თუ ფეიქრები, მჭედლები თუ მებაღე-მევენახეები, ფოტოატელიეში საგანგებოდ მისულთ ემსგავსებიან და უმეტესი მათგანი ცდილობს აპარატის შავ თვალს უყუროს, ეგებ ლამაზი და მოხდენილი გამოვიდეო. ეს დაძაბულობა და ერთგვარი უხერხულობა არ დასტყობიათ ჟინვალჰესელებს.

როცა მშენებლობის სახელოვან ბრიგადაში მივედით, რომელსაც ნიკო ბუჩუკური ხელმძღვანელობს, სურათის გადაღება დავუპირეთ ბრიგადის წევრებს. ასეთ დროს, რა დასამალია და, ხდება ხოლმე პატარა ინსცენირება: „ვითომ რაიმე საქმეზე საუბრობთ“, „ვითომ კამათობთ“, ვითომ და ვითომ! ფოტოჟურნალისტი ყოველ ხერხს იყენებს, რათა სურათი „საქმიანი“, ბუნებრივი გამოვიდეს. მაგრამ ამგვარი ინსცენირება ჩვენს ფოტოკორესპონდენტს არც კი დასჭირებია.

მშენებლობაზე საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ახალგაზრდა ინჟინერი ოტო კალანდარიშვილი დაგვყვებოდა და სადაც კი გამოვჩნდებოდით, უცებ იბმებოდა საქმიანი ურთიერთობა მუშებსა და ინჟინერს შორის. თითქოს ჩვენ მათთან საგანგებოდ მისულნი კი არა — მათი მუშაკები, მათი ახლობლები, დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრები ვიყავით. მათ ყოველ წამს, ყოველ წუთს თავიანთი საქმე აწუხებდათ.

აგერ შესადუღებელი აპარატია გადმოსატანი, ბეტონი მოსაზიდი, გვირაბის წინ მოედანი გასასუფთავებელი, სახლი ასაგები, მთა გასათხრელი...

ყური მოვკარი, გვირაბგამყვანმა ბორის კოლჩინმა ბუღალტერიისადმი საყვედურიც კი გამოთქვა ხელფასის დაგვიანებაზე. ყური ვცქვიტე. როგორ თუ დაგვიანება, რად უნდა უგვიანებდნენ მუშას ხელფასს, რა მიზეზით-მეთქი.

— ჩვენ ერთ წუთსაც არ ვაგვიანებთ საქმეს... ხელფასმა კი ორი დღით დაიგვიანა, — ამიხსნა კალანდარიშვილმა.

— საშუალოდ რამდენს იღებენ თქვენი მუშები?

— თვეში ორასი, სამასი მანეთიც გამოსდით. ახლა საცხოვრებელ სახლებსაც ვაშენებთ მათთვის. ეს იქნება ჟინვალის ახალი დასახლება, რომელიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ საკურორტო დაბად გადაიქცევა. ამავე დაბაში აიგება დასასვენებელი პანსიონატებიც.

ჟინვალჰესის კომპლექსის მშენებლობა 1971 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. თავიდან მშენებლობის ტემპი მეტად დაბალი იყო, რაც საგრძნობლად დასტყობია ამ დიდ მშენებლობას. მაგრამ დღეს მკვეთრი გარდატეხა იგრძნობა. მშენებლობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული თავკაცების, ხელმძღვანელების ნიჭსა და მართვის უნარზე. დღეს მშენებლობას სათავეში უდგანან ისეთი ადამიანები, რომელთაც არა მარტო კარგად ესმით საქმე, უნარიც შესწევთ ათასკაციანი კოლექტივით მოახდინონ კიდევ ერთი სასწაული იმ გრანდიოზულ მშენებლობათა შორის, რომლებიც ჩვენი პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის მიერაა დასახული. აი ისინი: მშენებლობის უფროსი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ოტო ნიკოლაიშვილი და ავთანდილ აფციაური.



გივი ჭყონია, მთავარი ინჟინერი ანზორ ჯავახიძე, მშენებლობის დირექტორი ვლადიმერ ჯაფარიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი გიორგი [illegible]ნცური.

მშენებლობის უფროსი კანტორაში ვერ ვნახეთ. ბეტონის ახალ ქარხანაშიაო, გვითხრეს. იქით გავწიეთ. თითქოს საშვილიშვილოდ უნდოდეთო, ისეთი დიდი ქარხნის მშენებლობა წამოუწყიათ. გუგუნებენ ბულდოზერები, სკრეპერები, მოდის და მოდის თვითმცლელ მანქანათა ქარავანი, ცამდე აწვდილა რკინის კასკადები, უზარმაზარი ბეტონსარევები, ცემენტისა და ქვიშის სათავსები...

ახოვანი კაცი გამოეყო ადამიანთა ჯგუფს და მანქანისაკენ გასწია. გუმანმა არ მიმტყუნა, ეს იყო მშენებლობის უფროსი გივი ჭყონია. გამოხედვაზეც კი ეტყობა, რომ თავკაცია ყველა იმ საქმისა, რაც ახლა ჟინვალში ხდება და კეთდება. კანტორაში მიგვიწვია, მშენებლობის ხელმძღვანელები გაგვაცნო, აგვიხსნა იმ სამუშაოს არსი, რასაც იგი მეთაურობს.

მშენებლობის უფროსის კაბინეტის კედლებზე გამოფენილია სქემატური პროექტები, კაშხალის, გვირაბების ჭრილთა ნახაზები, იმ ადგილების ფოტოსურათები, სადაც წყალსაგუბარი უნდა იყოს. აი ერთი მათგანი: ანანური. ფოტოსურათს თითქმის შუაზე სჭრის ცისფერი ზოლი. წყლის დონე ანანურის ციხის ძირს სწვდება.

მართალია მშენებელთა სტუმრები ვიყავით, მაგრამ ისეთი სტუმრები, რომლებიც საქმის გამო ვიყავით იქ მისულნი და აბა საქმეს როგორ მოვაცდენდით მასპინძლებს. მხოლოდ მცირე დრო წავართვით ხან ერთს, ხან მეორეს...

მშენებლობის თავკაცებს სურათის გადაღება შევთავაზეთ.

— შემდეგ, შემდეგ, როცა ვალს მოვიხდით, — ეღიმება გივი ჭყონიას და ოტო კალანდარიშვილს სთხოვს, — წაიყვანეთ ამხანაგები ნიკო ბუჩუკურის ბრიგადაში.

მალე მოვნახეთ ნიკო ბუჩუკური და მისი ბრიგადა, მთებთან შეჭიდებული ხალხი: მბურღავები გიორგი თანდილაშვილი, სლავა გრანუე, გრიგოლ კარაპეტიანი; ქანის ამღებები — რევაზ მუსელიანი და გია კულუმბეგაშვილი; ამფეთქებელი ალექსი ბუჩუკური და სხვები. ესენი იყვნენ არაგვის მარცხენა ნაპირზე მთას გული რომ გამოუღეს და ორი უზარმაზარი წყლის საგდები გვირაბი გაიყვანეს შამშე ლარცულიანის ბრიგადასთან ერთად. ახლა ეს გვირაბები, ერთი რვა დიამეტრისა, მეორე მომცრო, თითქმის მზადაა. უკანასკნელი სამუშაოები მთავრდება და გვირაბგამყვანთა კომპლექსურ ბრიგადებს მალე არაგვის ქვემო წელზე გადაიყვანენ. კვლავ მრავალი გვირაბია გასაჭრელი ქართლის ქედის კალთებში.



ბრიგადირი ნიკო ბუჩუკური (მარცხნივ), ბორის კოლჩინი და პეტრე პავლოვი

ბეტონის ახალი ქარხნის მშენებლობა.

ბრიგადირები ნიკო ბუჩუკური (მარცხნივ) და შამშე ლარცულიანი



ანანური — ჟინვალი — საგურამო — თბილისის ზღვა, ორმოცდაათკილომეტრიანი ტრასა მშენებლობის ძირითადი უბანია. ამ უბანზეა ასაგები კაშხალი, ელსადგური, გასაყვანია გზები, ამოსასუფთავებელია წყალსაცავის უზარმაზარი ფსკერი. უნდა ამოსუფთავდეს ისე, რომ არ დარჩეს ბუჩქის ფესვის ერთი ღეროც კი. და როცა ამ ვეებერთელა მიდამოს გავყურებდი, ახლა, ამ შემოდგომის ოქროცურვილ დღეს, ყვითლად რომ ღაღანებდა, ვფიქრობდი, რა ხელმა და რა ძალამ უნდა ამოძირკვოს ეს ამდენი ხე და ბუჩქი. პირწმინდად უნდა გასუფთავდეს, რომ წყალი არ გაბინძურდეს, რომ თევზმა გაიხაროს და სასმელადაც უნიკალური იყოს. წყალსაცავის ზედაპირის მოცულობა თორმეტ კვადრატულ კილომეტრამდეა ნავარაუდევი. ელსადგური, რომლის სიმძლავრეც 130 ათასი კილოვატია, წელიწადში ხუთას მილიონ კილოვატსაათ ენერგიას გამოიმუშავებს.

საერთოდ, ამ დიდი სამუშაოებისათვის ადგილი ძალზე გონივრულადაა შერჩეული. ქართლის, ლომის-ალევის და გუდამაყრის ქედებს შორის ძვირფასი თვალივით ჩაჯდება ჟინვალის ტბა.

კომპლექსის მშენებლობა მთლიანად ექვს წელიწადში დამთავრდება, ხოლო ელსადგური თავის ღირებულებას ოთხნახევარ წელიწადში აინაზღაურებს. იგი დღეისათვის ენგურჰესის უმცროს ძმად ითვლება, ერთ-ერთი საყურადღებო უბანია მეცხრე ხუთწლედის გეგმით დასახულ მშენებლობათა შორის.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო ფართო გასაქანს პოულობს ჩვენი მშრომელების მიერ დიდი ხნის წინათ წამოწყებული პატრიოტული თაოსნობა — შემხვედრი გეგმა.

როცა გვირაბთან ვიდექით და ვსაუბრობდით, ერთ-ერთმა მუშამ, ავთანდილ აფციაურმა, სიამაყით განაცხადა:

— ჩვენ ჩვენი საქმისა კარგად ვიცით. უფრო მეტსაც გავაკეთებთ.

უფრო მეტი! მუშას განუზრახავს უფრო მეტი. უფრო მეტი კი სწორედ ის სურვილი და მიზანია, რასაც შემხვედრი გეგმა ჰქვია. და თუ ასეთი სურვილით და მიზნით იშრომებს ყოველი ჟინვალელი, მაშინ კომპლექსის მშენებლობა 1977 წელს კი არ დამთავრდება, როგორც ამას გეგმა ვარაუდობს, არამედ ადრეც ჩადგება მწყობრში ყოველივე ის, რასაც უკვე დიდის მღელვარებითა და მოუთმენლობით მოველით.

დღეისათვის ბევრი რამ გაკეთდა. უფრო მეტი გასაკეთებელია.

არაგვს არა სჩვევია მდოვრედ სიარული. არც ჩვენს ადამიანებს ახასიათებთ სიმდოვრე.



საცდელ გვირაბთან. ამ ადგილას: მთებს შორის აიგება კაშხალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერი ტაბიძე

ფოტო
ანზორ გოგოლაძისა.

უ

# ძლევა გრძელდება

## ხუთწლედის ადამიანები

ქალები თბილ ღუმელთან მიმსხდარან. დედა ქსოვს, გოგოები წიგნს კითხულობენ. ბიჭი კუთხეში მდგარ მაგიდასთან ზის და გულმოდგინედ წერს.

ვახშამი ცივდება, კაცები კი არა და არ ჩანან.

— არ მოშივდათ? — წუხს დედა.

— მოვლენ, როცა ძალიან მოშივდებათ, მოვლენ. — ამშვიდებენ ქალიშვილები. ბიჭი კი ზის და წერს, ქალების საუბარში არ ერევა.

უცბად ოთახში ცივი ჰაერი შემოიჭრა, მაგრამ ღუმელამდე ვერ მიაღწია. სახლში მოსული კაცები ხელებს იფშვნეტენ და თვალები ვახშმისაკენ გაურბით. სათბურები და ჩექმები დერეფანში დატოვეს, მაზუთის და ბენზინის სუნი მაინც შემოჰყვათ.

— ე ლლაპი მაინც სადღა გყავდათ, ახლახანს მოვიდა გათოშილი, — მწყრალად ამბობს ქალი და კუთხეში მიმჯდარ ბიჭუკენ იყურება.

მამა-შვილმა არკადი და ბიჭიკო მოსიაშვილებმა ერთმანეთს გადახედეს, კარგა ხანს დუმდნენ, მერე უფროსმა მოსიაშვილმა თქვა:

— იქნებ შენ იცი, ბიჭიკო, სად დაწანწალებს ე ბიჭი, დღესაც გვიან მოსულა შინ.

ბიჭიკო მხრებს იჩეჩავს, გაწყობილ მაგიდასთან ჯდება და სხვებსაც ანიშნებს, რაღას უყურებთო.

მოშიებული კაცები მადიანად შეექცევიან საჭმელს. ბიჭიც გულიანად ილუკმება, დროდადრო შუბლქვემოდან ახედავს უფროსებს და ეშმაკურად ეღიმება.

— მაშ დღესაც დააგვიანე, არა? — ეკითხება პაპა არკადი ბიჭს. — გავიგებ სად დადიხარ და მერე მიფრთხილდი... კაცო, კაკო რომ გაზეთში ისევ დაუხატავთ, ნახე? — ახლა ბიჭიკოს მიუბრუნდა მოხუცი.

კაკო მეტრეველი ბიჭიკო მოსიაშვილის მექანიზატორთა ბრიგადის წევრია. ხაშურელები ისე შეეჩვიენ გაზეთებში მისი პორტრეტის ხილვას, რომ უკვე აღარავინ გამოთქვამს გაოცებას: ნახე, კაცო, ჩვენი კაკო დაუხატავთო. არც ბიჭიკო დარჩენილა ახლა სახტად მამის კითხვაზე, მან ჯერ კიდევ გუშინ დილით წაიკითხა რაიონულ გაზეთში მოზრდილი წერილი თავის მექანიზატორზე.

— ეკუთვნის და დახატეს კიდეც! ის კი არა, დღეს ჩვენს პავლიკასაც... — ბიჭიკოს უნდოდა ეთქვა, სურათი გადაუღესო, მაგრამ მეუღლეს შეხედა და წინადადება აღარ დაასრულა.

პავლე ყველაზე პატარაა მოსიაშვილების ოჯახში. მეცხრე კლასშია. ისე, მას რომ ჰკითხო, პატარა კი არა, თუნდაც ამაღამვე პაპის ტრაქტორში მარტო თვითონ ჩადგამს ძრავას, რომელიც დღეს შეაკეთეს. დედა ისევ ლლაპს ეძახის, პაპა და მამა კი ზოგჯერ ჰკუას ეკითხებიან.

ზაფხულზე, ყანას რომ მკიდნენ, პავლე პირველად გავიდა მეშტურვალედ მამის კომბაინზე. უთენია მიდიოდა ყანაში. სანამ პურს ნამი შეაშრებოდა და მამა ყველა აგრეგატს ჩამოივლიდა, ბიჭი ჩიტივით დახტოდა ამოდენა კომბაინზე: ზეთავდა, აპოხიერებდა, წმენდდა, წყალს ასხამდა. ერთი სიტყვით, ბიჭიკო მოსიაშვილს, კოლმეურნეობის მექანიზატორთა თავკაცს, შვილის ხელით ყოველთვის გამზადებული ხვდებოდა მანქანა...

ჰამაში გართული ბიჭიკო მეუღლემ გამოარკვია ფიქრებიდან.

— ალბათ ისევ ტრაქტორებთან დაწანწალებდა ეს ლლაპი!...

— თუნდაც ასე იყოს, რა მოხდა, ტრაქტორი ცუდი საქმეა?

— მერე ვინ ამბობს ცუდი საქმეაო, მაგრამ ბავშვმა გაკვეთილები ხომ უნდა ისწავლოს? — წარბები შეჰკრა ვენერამ.

— მოასწრებს. დღეს ჩვენთან არ ყოფილა, — თვალი აარიდა ცოლს ბრიგადირმა. — ხვალისთვისაც უარი ვუთხარი, არც ზეგ მოვა...

პაპა არკადი დაბალ სკამზე ზის, თვალებს აფახულებს, ეტყობა ძილი მოერია.

— ხარშილაძის მანქანას ხვალვე ძრავა უნდა გამოვუცვალოთ, გოდერძის უკვე მოველაპარაკე, — არავისთვის შეუხედავს, ისე თქვა ბიჭიკომ.

— ეგ რომელია? — გამოფხიზლდა პაპა.

— რომელია და 42-27 „გიტრ“. ძრავა მართლაც ხრიალებს, გამოსაცვლელია, — საუბარში დიდივით ჩაერია პავლე.

კაცებმა რომ საუბარი ტრაქტორებზე გააბეს, ბიჭიკოს მეუღლემ ქსოვა მიატოვა და დასაწოლად გავიდა. დედას გოგოებიც მიჰყვნენ.

— გამოვცვალოთ, — ჩაილაპარაკა არკადიმ, — მე და პავლიკა მივეხმარებით... მაგრამ აკი ამ ტრაქტორს ფერმაში უნდა ემუშავა?

— ცოდოა, კაცო, მთელი ზაფხული და შემოდგომა შეუსვენებლად იმუშავა, უნდა დავასვენოთ, რახან რკინაა, რა...

ასეთი ტრაქტორი ოცამდეა ბიჭიკო მოსიაშვილის ბრიგადაში და ყველამ მთელი გაზაფხული და შემოდგომა შეუსვენებლად იმუშავა. ახლა ისინი კოლმეურნეობის სახელოსნოში დგანან და ძალ-ღონეს იკრეფენ, გაზაფხულისათვის ემზადებიან, ხუთწლედის მეოთხე წლის გაზაფხულისათვის. ფერმაში კი ამ შუაგულ ზამთარში სამუშაო გაჩნდა. 42-27 ვერ წავა. მაშ რომელი გავგზავნო ფერმაში? ბრიგადირმა გონებაში ჩამოთვალა ყველა ტრაქტორი და ყველა მექანიზატორი: გოგია მეტრეველი, ალექსი ოსკანოვი, ამბაკო მოსიაშვილი, კოლა ღამბარაშვილი, ოთარ ნადირაძე, კაკო მეტრეველი...

— კაკო მეტრეველიც ვერ წავა, — ხმამაღლა გააგრძელა ფიქრი ბიჭიკომ.

ეს ის კაკო მეტრეველია, პურის მკაზე რომ ყველას აჯობა, გაზეთ „კომუნისტის“ ვიმპელი სამჯერ მოიპოვა და სამუდამოდ დაინარჩუნა. სხვათა შორის, კაკომ თვით ბრიგადირსაც გაუსწრო. ბიჭიკოს ხელში მხოლოდ ორჯერ გაიარა ვიმპელმა, მესამეჯერაც შეეძლო, მაგრამ მეტრეველმა სულ რაღაც რამდენიმე მეტრით მეტ ფართობზე აიღო მოსავალი და რამდენიმე კილოგრამით მეტი ხორბალი გალეწა. შრომითს მეტოქეობაში მეტრებსაც და გრამებსაც მნიშვნელობა აქვს. რას იზამ, შეჯიბრებაში ერთმა უნდა გაიმარჯვოს.

— რატომ ვერ წავა? — გაუკვირდა პავლეს, — მისი ტრაქტორი ხომ სულ ახალივითაა.

— იმიტომ, რომ დასვენება უნდა, დაიღალა.

— ტრაქტორი?
— არა, კაცი დაიღალა.
ვითომ მართლა დაიღალა კაკო? მექანიზატორები ხომ აგრე იოლად არ იღლებიან. მათ, მგონი, დრო არცა აქვთ საამისოდ. ხვნა მთავრდება—თესვა იწყება, თესვა დამთავრდება — ხეხილის ბაღებში გაჩნდება საქმე, მერე ჰარხალით, ვაზით, ამასობაში მკაც დაიწყება, შემდეგ სილოსი, სენაჟი... აბა როდის უნდა დაისვენოს მექანიზატორმა. ზამთარში? ზამთარში დილიდან საღამომდე სახელოსნოში ტრიალებენ და ნაჯაფ მანქანებს სულს უბრუნებენ. ბრიგადირი მაინც ფიქრობს, როგორმე დაასვენოს „ვიმპელიანი კაკო" (ასე ეძახიან მას ბრიგადაში).
დაისვენებს კი? თვითონ ბრიგადირს ჯიბეში შვებულება გაუფორმეს და დასასვენებლად ზღვაზე უნდა წასულიყო, მაგრამ ნამდვილ ზღვას მაინც პურის ზღვა არჩია, ფეხი არსად გაუდგამს.
...ღუმელში ცეცხლი ნელდება, თითქმის დანახშირებული შეშა უეცრად იფეთქებს ხოლმე მინელებულ ნაღვერდალში და ტკრციალით ისვრის ნაპერწკლებს. სარკმლის მინებს გარედან თეთრი ჭირხლი აკვრიათ. პაპა არკადი დასაძინებლად ემზადება და შვილიშვილს საიდუმლოდ აფრთხილებს:
— ხვალ არ დაიგვიანო, გაიგე? 42-27-ს უნდა მივეხმაროთ.
— დედას რა ვუთხრა? — თადარიგს იჭერს პავლე.
— დედას? უთხარი, რომ... ერთი სიტყვით, არ დაგავიწყდეს...
არკადი მოსიაშვილი ახლა 71 წლისაა. 1936 წელს პირველად მიუჯდა ტრაქტორის საჭეს და მას შემდეგ მაზუთის, ბენზინისა და რკინის სუნი თან დაჰყვება. პაპა არკადი პირველი ხუთწლედების ვეტერანია და ამაყობს კიდევაც ამით.
ამ ხუთიოდე წლის წინ პენსიაზე გავიდა, სურდა დაესვენა, ოჯახში ყოფილიყო, საკარმიდამო ვაზისათვის მოევლო. რამდენიმე თვე ითმინა, კინაღამ გაგიჟდა კაცი. ვერც ვენახში მუშაობას უდებდა გულს, ტრაქტორი მოენატრა მოხუცს. მაზუთისა და ბენზინის სუნი, როგორც ყვავილი ფუტკარს, თავისკენ ისე იზიდავდა. ველარ გაუძლო, ადგა და თავის სიცოცხლეში პირველად სიტყვა უკან დაიბრუნა, კომბაინის საჭეს მიუჯდა. კოლმეურნეობა „ზემო ქართლში" გაერთიანებულ ორ სოფელს — გომსა და ვაყას ეგონა, რომ მოხუცი ტრაქტორისტის ახირებას ბოლო მალე მოეღებოდა და ისევ თავის კერიას დაუბრუნდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. პაპა არკადიმ ერთი დღე იმუშავა, ორი დღე იმუშავა, მერე ჯერ მიხეილ ოგანოვს, მასზე რამდენიმე წლით უმცროს მექანიზატორს გაეჯიბრა, შემდეგ ახალგაზრდებზე გადავიდა — გივი ხარშილაძეს გაუხდა „მეტოქედ". შეჯიბრება ოფიციალურად გააფორმეს. და რა გგონიათ, პაპა არკადი გამარჯვებული გამოვიდა! მკა შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრა და თითოეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი გალეწა.
...მკა რომ დამთავრდა, კაკო მეტრეველმა სურვილი გამოთქვა ახალქალაქელებს მიხმარებოდა. სანამ გაემგზავრებოდა, ბრიგადირსა და პაპა არკადის მოეთათბირა.
— მაშ მოდიხარ? — შეეკითხა არკადი.
— ჰო, მოვდივარ! მექანიზატორები აკლიათ თურმე.
— ვიმპელებს იქაც არიგებენ, ვითომ?
— აბა რა ვიცი, თუ არიგებენ, ალბათ ერთი მეც შემხვდება.
— მერე რომ გკითხონ, შენს სოფელში რამდენი ხორბალი გამოლეწეო, რას ეტყვი?
— ჰექტარზე 25 ცენტნერი-მეთქი.
— იმას არ ეტყვი, ბიჭო, რომ კოლმეურნეობამ 1000 ტონაზე მეტი მარცვალი მოიწია? იცი, ათასი ტონა რა არის? ათასი ტონა მილიონი კილოგრამია. ჰოდა, არ დაგავიწყდეს, ესეც უთხარი.
ერთი მილიონი კილოგრამი ხორბალი!
460 ჰექტარზე ერთი მილიონი კილოგრამი!
ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი გამოდის.
— მერმისს 25 უნდა მოვიწიოთ! — ეუბნება მამა შვილს, — მექანიზატორთა ბრიგადირს, ბიჭიკო მოსიაშვილს.
ბიჭიკოც ჰპირდება. რატომაც არ დაჰპირდება, ვერ მოიწევენ თუ! თესლი კარგი აქვთ, სასუქები ბლომად არის, კოლმეურნეები ძალას და ენერგიას არ ზოგავენ, ტექნიკაც მზადყოფნაში ექნებათ და, არც ის უნდა დაივიწყონ, რომ ბიჭიკოს ლომივით ბიჭები ჰყავს.
კაკო მეტრეველს გაისად 15 ჰექტრე ეყოლება. მართალია, ვიმპელს ვერავინ წაართმევს, მაგრამ ბრიგადის ყველა წევრს, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც სურს გაიმეოროს კაკოს მაგალითი და სამუდამოდ დაისაკუთროს ასე გახმაურებული ჯილდო. მათ შორის პაპა არკადიც არის და პავლიკოც.



მექანიზატორი ჯუმბერ ნეკერაშვილი.

მოსიაშვილების ოჯახმა ახალი ავტომანქანა შეიძინა.



...მეორე დღეს პავლე პირობის თანახმად ეწვია სახელოსნოს. ძრავები უკვე ჩაედგათ. მექანიზატორები პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილიყვნენ და თითო ტრაქტორს მისდგომოდნენ. გოგია მეტრეველს კომბინეზონის სახელოები იდაყვებამდე აეკარწახებინა და შიშველ მკლავებზე ბუსუსები ყალყზე ედგა.
— შენ რომ გიყურებ, ტანში ჟრუანტელი მივლის, ჩამოიწიე, კაცო, ეს სახელოები, — ეხვეწება გოგიას ამბაკო მოსიაშვილი და თან გათოშილ ხელებს ისრესს.
— მუშაობა დაკაპიწებული ვიცი მე, — მშვიდად უპასუხებს გოგია და სახელოებს ახლა იდაყვს ზემოთ იწევს.
— დააცადე, საღამომდე ისე დასცხება, ალბათ კომბინეზონსაც გაიხდის, — აწყნარებს ამბაკოს ჯუმბერ ნეკერაშვილი.
გოგია დუმს. იცის ჯუმბერის ამბავი, ახლა რომ პასუხი გასცეს, მერე ველარ მოიშორებს, ვერც სიტყვაში აჯობებს.
სახელოსნოს სატვირთო მანქანა მოადგა. მთელმა ბრიგადამ მუშაობას თავი ანება, ყველა მანქანას მიაწყდა. სოფლის მეურნეობის ტექნიკის რაიონული განყოფილებიდან სათადარიგო ნაწილები მოეტანათ: მუხლანა ლილვები, გამანაწილებელი ღერძები, მუხლანა ლილვის სადებები, ამძრავი ქუროები...
— არ გვეკუთვნის თუ! — ამაყად ამბობს ბრიგადირი. — ამ ტრაქტორებმა წელს ათასი ჰექტარი ფართობი დაამუშავეს.
ბიჭები ზოგი ტრაქტორის ქვეშ შემძვრალა, ზოგი თავით ჩაყუდებულა მკერდგადაღეღილ ძრავაში.
პავლე, პაპა არკადი და გივი ხარშილაძე ისევ 42-27-ს დასტრიალებენ. ძრავა ადგილზეა. ახლა ქანჩებს უჭერენ, მერე უნდა აამუშაონ და გამოსცადონ.
...სახელოსნოში მოულოდნელად ვენერა შემოვიდა, ბრიგადირის მეუღლე. პავლემ გაქცევა დააპირა, მაგრამ სადღა დაიმალებოდა. პაპა არკადი დანაშავე კაცის ღიმილით შეხვდა რძალს.
— აი თურმე რატომ აგვიანებდა შინ მოსვლას! კი მაგრამ, ესეც ტრაქტორისტი უნდა გახადოთ? — ნაძალადევი სიმკაცრით უთხრა ვენერამ.
— როგორ, მე თუ ტრაქტორისტი ვარ, ხალხი არ მაფასებს? ბიჭიკო თუ ტრაქტორისტია, ცუდია, იმიტომ არ გამოჰყევ?
— არა, მაგას კი არ ვამბობ... მაგრამ გაკვეთილები ვინ ისწავლოს?
— მოასწრებს, ვისაც შრომა უყვარს, ყველაფერს მოასწრებს. ეს გაკვეთილი კი ყველაზე დიდი გაკვეთილია მისთვის.
ქალი არაფერს ამბობს. სიყვარულით შესცქერის შვილის მაზუთში ამოსვრილ ხელებს და გულში უხარია, პავლე პაპისა და მამის კვალს რომ მიჰყვება.
...მინდვრის მეუფენი კი სულს უბრუნებენ ნაჯაფ მანქანებს, ხუთწლედის მეოთხე წლის გადამწყვეტი შეტევისათვის ამზადებენ მათ.

პაპა არკადი, შვილი ბიჭიკო და შვილიშვილი პავლე მოსიაშვილები.



კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი რევაზ კულუმბეგაშვილი (შუაში) სიმინდის ახალ ჯიშს აცნობს რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილეს რობერტ სუხიაშვილს (მარცხნივ) და პარტიის ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორს ფრიდონ გელაშვილს.



[illegible]



გურამ ბახტაძე

# ასმათ მასწავლებელი



ასმათ ბაუჟაძე თავის მოსწავლეებთან.

სოფელში მას ყველა იცნობს. ყმაწვილების მასწავლებელია და თანაც დირექტორი. უფროსებს, რომლებსაც კარგად ახსოვთ მისი ბავშვობა, ახლა ხან საინტერესო ლექციებს უკითხავს, ხან რჩევა-დარიგებას აძლევს, ხან კი მხარში ამოუდგება და მათთან ერთად კრეფს ჩაის ბუჩქებზე მოხვავებულ დუყებს.
ასმათ მასწავლებელმა თანასოფლელთა გულის მონადირებაც იცის, შრომის ფასიც და, საჭიროების შემთხვევაში, ხალხის დარაზმვაც შეუძლია.
...1941 წლის ზაფხული იდგა. ათიოდე წლის გოგონას ასმათ ბაუჟაძეს მკერდზე საზეიმოდ მოახვიეს პიონერის წითელი ყელსახვევი. ომმა იქუხა, უვაჟკაცებოდ დარჩენილი სოფელი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ანაბარა დარჩა. რა უნდა ექნათ? დაიკაპიწეს უფროსებმა მკლავები, მხარზე თოხები და კალათები შემოიდგეს, საკოლმეურნეო ყანებს, ბაღებსა და პლანტაციებს მიაშურეს.
პიონერებისათვის არაფერი უთქვამთ, თავად მიხვდნენ, სად შეეძლოთ პატარა მარჯვენის შეშველება.
პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ასმათ ბაუჟაძემ თანატოლები აიყოლია, სადღაც მოძველებული ჩალის ქუდები და კალათები გამოჩხრიკეს, სათუთ, შრომას უჩვევ მხრებზე შემოიდგეს და ჟივილ-ხივილით წამოადგნენ თავზე ჩაის საკრეფად გასულ უფროსებს. საყვარელმა მასწავლებელმა მეხფულე გიორგაძემ გაუღიმა და მხარში ამოიყენა ასმათი.
მას შემდეგ ერთად, მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ჩაის ბუჩქებს მასწავლებელი და მოწაფე. რა ვუყოთ, პირველად თუ ნელა ივსებოდა ასმათის კალათა, სამაგიეროდ სურვილი და მონდომება ძალზე დიდი ჰქონდა. გაკვეთილზე, როცა ხუთიანზე უპასუხებდა მასწავლებელს, მორცხვად გაიღიმებდა ხოლმე ასმათი. ასეთი მორცხვი, სიხარულით გაღიმება იცოდა მაშინაც, როცა ბრიგადირი მის მოკრეფილ ჩაის ფოთოლს აწონიდა და მოკლედ ეტყოდა: ყოჩაღ!
მეშვიდე კლასში იყო ასმათი, როცა ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია ანდეს მოსავლელად. ადრე გაზაფხულზე გათოხნა, სასუქი შეიტანა, ჩინებულად მოუარა ბუჩქებმაც დაუფასეს ამაგი — მთელი ზაფხული ქორფა დუყებით იყო სავსე ნაკვეთი. მიჰყვებოდა ასმათი და კრეფდა ფოთოლს — კრეფდა ალიონზე, მაშინაც, მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა. კრეფდა ყოველგვარ ამინდში — ქარსა და წვიმაში.
იცით რამდენი მოკრიფა ერთ წელიწადს ასმათმა? 6.200 კილოგრამი! ეს ის წელიწადი იყო, როცა ომი დამთავრდა და სოფელში გამარჯვებული ჯარისკაცები დაბრუნდნენ. ომგადახდილ, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ მებრძოლებს პატარა ასმათიც გამარჯვებული შეეგება. მამაცური შრომისათვის იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დააჯილდოვა.
პიონერთა ორგანიზაციის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო! ქობულეთის რაიონის მთის პატარა სოფელ ზენითის მკვიდრმა ასმათ ბაუჟაძემ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში, პიონერთა შორის, პირველმა მიიღო მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.
თავიანთი აღმზრდელის სახახელო ბავშვობა, მისი გმირული შრომითი გზა ჩინებული მაგალითი გახდა ასმათის დღევანდელი მოსწავლეებისათვის. მიბრძანდით, ნახეთ პიონერთა ოთახში გაკრული ფერად წოდებული „პიონერშენის რუკა". ჩაის პლანტაციების აღმნიშვნელ ადგილებში ყველგან ალისფერი ნიშნები ელვარებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასმათ მასწავლებლის მოსწავლეები ყველგან არიან, კოლმეურნეობის ყველა პლანტაციაში შრომობენ. მოსწავლეებმა წელს 50 ტონა „მწვანე ოქროს" მოკრეფის ვალდებულება აიღეს. თქვეს და შეასრულეს კიდეც! შეასრულეს კი არა, — ცამეტი ტონით გადააჭარბეს ვალდებულებას. ჩვენი რესპუბლიკის მჩაიეთა წლევანდელ სახახელო გამარჯვებაში, რაღა თქმა უნდა, ზენითელ პიონერ-მოსწავლეთა წვლილიც არის გარეული.
სოფელში რომ იკითხოთ: რა გააკეთა ისეთი, ასე რატომ გიყვართ ასმათ მასწავლებელი? — გაოცებით შემოგხედავენ. უპირველეს ყოვლისა, გეტყვიან, აბა იმაზე კარგი რა უნდა გააკეთოს, მთელი დღე ჩვენს ბავშვებს რომ დასტრიალებს თავზე, მუდამ მათ კაიკაცობაზე ზრუნავს, მერე მოდგებიან და წვრილ-წვრილად მოგიყვებიან ათასგვარ ამბებს. ამ ამბებიდან, მოდით, ახლა ერთი ჩვეულებრივი ამბავი ამოვარჩიოთ და ამჯერად ამით დავამთავროთ ასმათ მასწავლებელზე საუბარი.
ერთმა ონავარმა ბიჭმა, აბა სახელი და გვარი რა საჭიროა, სწავლაზე გული აიცრუა, სკოლა მიატოვა და უსაქმოდ ხეტიალი დაიწყო. სოფელში ზოგმა ხელი ჩაიქნია, თუ არ უნდა, რა ჩარაა, ძალით ხომ ვერ ვასწავლით, ყანაში მუშაობას უსწავლელიც შეძლებსო. მაგრამ ასმათ მასწავლებელი ასე როდი ფიქრობდა.
ერთ მშვენიერ დღეს ასმათ მასწავლებელმა ონავარ ბიჭს შინ გაუარა და სთხოვა, წამოდი, სკოლის კიბის შეკეთებაში მოგვეხმარეო. ბიჭი დატუქსვას ელოდა, მასწავლებლის თხოვნაზე სახტად დარჩა, რას იზამდა, ადგა და გაჰყვა. მეორე დღესაც გაუარა მასწავლებელმა ონავარ ბიჭს შინ, მესამე დღესაც... ბავშვმა სკოლაში სიარული დაიწყო, მაგრამ უჭირდა, იმდენი გაკვეთილები ჰქონდა გაცდენილი, რომ ახალ მასალას ველარ იგებდა.
ისევ ეწვია მასწავლებელი შინ ონავარ ბიჭს, წიგნები და რვეულები გადმოალაგებინა, თვითონაც გვერდში მიუჯდა და დინჯად დაუწყო ახსნა, განმარტება, გამეორება...
რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩამორჩენილი მოსწავლე ერთ თვეში დაეწია თანატოლებს. ის ბიჭი ეხლა უმაღლესში სწავლობს დაუსწრებლად, თან კოლმეურნეობაში მუშაობს — საუკეთესო მექანიზატორია.
აი ასე დაეხმარა ასმათ მასწავლებელი ცხოვრების გზის გაგნებაში თავის მოსწავლეს, აი ასე ეხმარებოდა და ეხმარება იგი ყველას — ვისაც შველა, დარიგება და მხარში ამოდგომა სჭირდება.
...დილაა. სოფელი იღვიძებს. ორღობეებს ბავშვების ჟრიამული ავსებს. შარაზე სწრაფად მიაბიჯებს სკოლის დირექტორი, სახალხო საბჭოს დეპუტატი, დიდი ლენინის ორდენის კავალერი ასმათ ბაუჟაძე. მიდის და თანასოფლელთა სალამი და მადლიერი თვალები მიაცილებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლი

**ლადო სულაბერიძე**

ქერჩის კუნძულზე
დავტოვე სისხლი,
ორმოცდაორის
მაისის თვეში.
აზოვის ტალღას,
ნაპირზე მიხლილს,
შხეფი უსვრია
ყირიმის მთებში.
იმ სისხლის სითბო
მომაკლდა მაშინ,
გალუმპულს ცივი
წვიმით და თქეშით,
ორმოცდაორის
მშფოთვარე ქარში,
ორმოცდაორის
მაისის თვეში.
ის სისხლი იყო,
მიწაში ჩადგა,
შემოაღწია
თბილისის გულშიც.
მე მაღლა ვწევდი
სიცოცხლის შანდალს,
ვარსკვლავს ვეძებდი
ღრუბლების ღრუში.
მართლაც მაკლია
ის სისხლი ახლა,
ვით სიჭაბუკე,
ისე მაკლია.
აჩქეფდა, მამულს
მივეცი რახან,
სიჭარმაგეში
კვლავ მომაკლია.
აჩქეფდა, მამულს
მივეცი რადგან,
მონახა ფესვი
შინდის და ნუშის.
ის სისხლი იყო,
მიწაში ჩადგა,
შემოაღწია
თბილისის გულში.

## კავკასიონი

ქლუხორი და მამისონი,
დონღუზ-ორუნბაში
არ ჩავაგდეთ მტრების ხელში,
მტრების მონობაში.
დავიცავით სიმაღლენი
სამამულო, საჭარო,
ქლუხორის და
მარუხის და
პსეაშხას და
სანჭაროს.
მტერს ვებრძოდით ქართველები
სულ ექვსასი ათასი.
კავკასიის თოვლს ვიცავდით
ზაფხულში და ზამთარში.
იქ დავტოვეთ ძმა მრავალი,
დგანან, სადაც მდგარან.
კონსტანტინე ლეხელიძეც
მათთან დარჩა მარად.
იქ ავმართეთ ფიცის თასი
ქარბუქიან ზამთარში,
მტერს ვებრძოდით ქართველები
სულ ექვსასი ათასი.
არ ჩავაგდეთ მტრების ხელში,
მტრების მონობაში
ქლუხორი და მამისონი,
დონღუზ-ორუნბაში.

ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტი აგული დადიანი ეწვია ჩვენს სახელოვან სწავლულს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ევგენი ხარაძეს, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას და მკითხველებისათვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვა მისცა მას.



— პატივცემულო ევგენი, გთხოვთ მოკლედ გაგვაცნოთ ასტრონომიის განვითარების ისტორია.

— ასტრონომია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. მისი ჩასახვისა და განვითარების მიზეზი საზოგადოების მატერიალური ცხოვრებაა. დასაბამიდან ცხოვრების რეგულირება ხდებოდა ისეთი მოვლენებით, როგორიცაა დღე და ღამე, წელიწადის დროთა ცვლა, წვიმებისა და ყინვების ხეზონების დადგომის გამოთვლა. ეს გასაგებიცაა — მეცხოველეობა და მიწათმოქმედება ადამიანისათვის იყო ძირითადი მეურნეობა, აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზღვაოსნობაც. ეს საქმიანობა დაკავშირებული იყო, როგორც ვთქვით, ამინდის, დღე და ღამის ცვლასთან, რამაც წარმოშვა მთვარის ფაზების შესწავლის, მზის შესწავლის აუცილებლობა.

ასტრონომიის აკვანი დაირწა აღმოსავლეთში.

ჩემის აზრით, ასტრონომიას საქართველოში დიდი წარსული აქვს. ისტორიამ შემოგვინახა მდიდარი ხელნაწერი ფონდი კოსმოგრაფიაზე, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ IX-XII საუკუნეებით თარიღდება. ფონდი შეიცავს ქართველი ავტორების ორიგინალურ და სხვა ენებიდან თარგმნილ ნაშრომებს. მათ შორის არის ქართველი ბერის, იოანე ზოსიმეს 974 წლის კალენდარი, XI საუკუნეში ეფრემ მცირეს მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი იოანე დამასკოელის „ცოდნის წყარო". ამ თხზულებაში საუბარია ასტრონომიულ ცოდნაზე, რომელიც გაბატონებული იყო ბიზანტიის იმპერიაში. დაცულია აგრეთვე უცნობი ავტორის ნაშრომი ილუსტრაციებით „ასტრონომიულ-ასტროლოგური ტრაქტატი". (1188 წ.) და ტბელი აბუსერიძის „ტრაქტატები კალენდარების შესახებ" (1233 წ.). ამ ლიტერატურულ ძეგლებში ვხვდებით საკმაოდ მდიდარ ასტრონომიულ ტერმინოლოგიას. ყოველივე ეს კი ცხადყოფს, რომ ასტრონომიული მეცნიერება საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

XIII საუკუნეში თბილისში არსებობდა ასტრონომიული ობსერვატორია, სადაც, როგორც ჩანს, მუშაობდნენ იმდენად განსწავლული ასტრონომები, რომ ზოგიერთ მათგანს უცხოეთშიც იწვევდნენ სამუშაოდ. მაგალითად, ქალაქ მარაღის ნასირედინის ობსერვატორიაში მიწვეული იყო თბილისელი ასტრონომი ფ. ეხლათელი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსებით დაიწყო ასტრონომიული მეცნიერების ახალი ისტორია საქართველოში. ეს მოხდა ოფიციალურად 1932 წელს.

— რამდენი ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინეს ქართველმა ასტრონომებმა? რა ჰქვია ამ მნათობებს, რა მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ მათ?

— საერთოდ, ახლადაღმოჩენილ ვარსკვლავს სახელს არ არქმევენ. იგი იღებს შესატყვის ნომერს, აღნიშვნას, ხოლო აღმომჩენის გვარი შედის ასტრონომიის ანალებში. 1938-1940 წლებში, ცნობილმა ქართველმა ასტრონომმა მიხეილ ვაშაკიძემ აღმოაჩინა რამდენიმე მცირე პლანეტა ანუ ცთომილი. აღსანიშნავია, რომ ვაშაკიძის სახელს ატარებს მთვარის მეორე მხარეზე არსებული კრატერი. იგი აღმოაჩინა ჩვენს მიერ გაშვებულმა ავტომატურმა აპარატმა. საბჭოთა კავშირის წარდგინებით საერთაშორისო კომისიამ მას გარდაცვლილი მეცნიერის ვაშაკიძის სახელი დაარქვა. კრატერის დიამეტრი ორმოც კილომეტრს აღწევს და ყველგან იხსენიება როგორც „ვაშაკიძის კრატერი". 1942 წელს გიორგი თევზაძემ აღმოაჩინა ახალი კომეტა. იგი დაწვრილებით შეისწავლეს საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც.

1948 წელს პირველმა ქართველმა ქალმა ასტრონომმა რამზე ბართაიამ აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავი გველის თანავარსკვლავედში. აღმოჩენის მომენტში ვარსკვლავი შედარებით ნათელი იყო. სტეფანე აფრიამაშვილმა აღმოაჩინა 17 პლანეტარული ნისლეული, ორი ვოლფ-ზეინერაიეს ტიპის ვარსკვლავი, სამი ცვალებადი ვარსკვლავი და ერთიც გაბნეული ვარსკვლავთ კრებული. მადონა დოლიძემ გამოავლინა რამდენიმე ასეული ვარსკვლავი წყალბადის ემისიური ხაზებით, ანზორ ჭუაძემ აღმოაჩინა ზეახალი ვარსკვლავი, მეორე ასეთი ვარსკვლავი აღმოაჩინა გივი ქიმერიძემ. აღმოჩენილია მთელი რიგი ცვალებადი ვარსკვლავებისა. გარდა ზემოთქმულისა, არსებობენ კიდევ მცირე ცთომილები — პლანეტები. ყველაზე დიდი მათ შორის დიამეტრით 700 კილომეტრს აღწევს. მეცნიერთა აზრით, ისინი დიდი პლანეტების ნამსხვრევებია. ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით ზოგი მათგანის აღმოჩენა და მათ ქართული სახელები ჰქვია: მაგალითად, „რუსთაველი", „აბასთუმანი", „თბილისი", „ქუთაისი და სხვ. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ცაში „ქართული ვარსკვლავებიც" არის.

— აბასთუმნის ობსერვატორია შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ მსოფლიო მნიშვნელობის ობსერვატორიად?

— ჩვენს ობსერვატორიას კავშირი აქვს მსოფლიოს 300 ობსერვატორიასთან და ინსტიტუტთან. ქართველი მეცნიერები მონაწილეობენ მათ სამეცნიერო სესიებში, საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებში. ჩვენი ობსერვატორია საბჭოთა კავშირში მთის ასტროფიზიკური საცდელი ობსერვატორიის პირველი ბაზა იყო. საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ასტრონომიულ დაწესებულებებთან მეცნიერული პროდუქციის სისტემატურმა გაცვლამ და გამოცდილებათა გაზიარებამ აბასთუმნის ობსერვატორიას დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო მუშაობაში. ახლა აქ სწავლობენ ვარსკვლავთშორის მატერიას, ვარსკვლავებს, მზეს, მთვარეს, პლანეტებს, კომეტებს, დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებს, იკვლევენ ვარსკვლავთა კრებულების ჯგუფთა მოძრაობას და, საერთოდ, თანამედროვე ასტრონომიის ყველა საკითხს. 1936 წლიდან 1968 წლამდე ჩვენმა ობსერვატორიამ მოაწყო რვა ექსპედიცია შუა აზიაში, ბრაზილიაში, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მზის დაბნელების პროცესების შესასწავლად.

„აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი" — ასე ეწოდება ჩვენი მეცნიერული შრომების კრებულებს. 1936 წლიდან დღემდე კრებულები 44-ჯერ გამოვეცით — შვიდასამდე საავტორო თაბახის საერთო ოდენობით. ჩვენი შრომები ეგზავნება ყველა დიდ და გამოჩენილ ობსერვატორიას. დღემდე 1.500 დასახელების სხვადასხვა სახის მეცნიერული შრომები გამოვაქვეყნეთ. ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, რომ აბასთუმნის ობსერვატორიის ავტორიტეტი საკმაოდ დაფასებულად ჩავთვალოთ.

— ბოლო ხანებში მსოფლიო პრესა ხშირად ლაპარაკობს დედამიწის გარემო არსებული ცივილიზაციის შესახებ. ამერიკელმა მეცნიერებმა სივრცის „ზონდავს" მიაღწიეს 25 სინათლის წლის რადიუსით, რათა რადიოკავშირი დაემყარებინათ ვითომდა ჩვენს მიღმა არსებულ ცივილიზაციასთან. ხომ არ გაიზარდა ეს რადიუსი? როგორია თქვენი აზრი ამ ჰიპოთეზის შესახებ? რა აღელვებს ახლა ასტრონომთა სამყაროს?

— ცნობილია, რომ სინათლის წელი არის მანძილი, რომელსაც სინათლე გადის ერთ წელიწადში სამასი ათასი კილომეტრი სიჩქარით წამში. მაგალითად, სინათლე მზიდან დედამიწამდე მანძილს გადის რვა წუთში, ხოლო მზის სისტემის საზღვრამდე — 11 საათში. ჩვენი მზე შედარებით პატარა ვარსკვლავია გალაქტიკაში. იგი თავისი პლანეტური სისტემით 30 ათასი სინათლის წლის მანძილით არის დაშორებული გალაქტიკის ცენტრიდან. ჩვენი გალაქტიკის დიამეტრი დაახლოებით ასი ათასი სინათლის წელია, აი, ასეთია ეს ტიტანური მანძილები. ახლა რაც შეეხება ცივილიზაციას: საერთოდ, სამყაროს ის სივრცე, რომელიც მისაწვდომია დაკვირვებისათვის, დასახლებულია მრავალი გალაქტიკით. თითოეულ გალაქტიკაში საშუალოდ 100 მილიარდი ვარსკვლავია. ამ ვარსკვლავების გარკვეულ პროცენტს პლანეტური სისტემები ახლავს. არ შეიძლება გვეფიქრა, რომ ამათში ერთადერთი დედამიწაა, რომელზეც სიცოცხლე არსებობს. უთუოდ უნდა ჩავთვალოთ, რომ ცოცხალი სამყარო სხვა ციურ სხეულებზეც არის. მაგრამ დედამიწაზე სიცოცხლის ფორმა ისე მრავალნაირია, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ, თითქოს სხვა პლანეტებზე უსათუოდ არსებობენ სიცოცხლის მსგავსი ფორმები. რაც შეეხება დედამიწის გარეშე ცივილიზაციების არსებობას, ამის არავითარი საბუთი არ მოიპოვება, ჰიპოტეზებისა და ვარაუდების გარდა. მართალია, ახლა რადიოტექნიკის დონე მეტად მაღალია და 25 ათასი სინათლის წლის რადიუსიც ალბათ გაიზარდა, მაგრამ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლებელია რაიმე ხელოვნური რადიოსიგნალების მიღება ეგრეთწოდებულ სხვა ცივილიზაციებისაგან. ჩემის აზრით, ასეთი სიგნალები ნაკლებად მოსალოდნელია. მე მწამს, რომ ჩვენს მიღმა არის სხვა ცოცხალი სამყარო, მაგრამ მისი დაკავშირება ჩვენს პლანეტურ სისტემასთან გამორიცხულია. ვარსკვლავები ისე შორსაა, რომ იქიდან გამოგზავნილმა სიგნალმა საუკუნეები ჩვენამდე მოაღწიოს, უკეთეს შემთხვევაში ეს საალბათოა.

ამჟამად ჩვენთვის ყველაფერზე ამაღელვებელია სამყაროში აღმოჩენილი, ასე ვთქვათ, ზემკვრივი ობიექტები, იმდენად მკვრივი, რომ ერთ სათითურში მოთავსებული ნივთიერების წონა რამდენიმე ტონას უდრის. მკვრივი ვარსკვლავები ახალი აღმოჩენაა და ყველაზე დიდი საიდუმლოება დღევანდელ ასტრონომიაში სწორედ ეს ზემკვრივი სხეულებია. ესენი არიან: კვაზარები, თეთრი ჯუჯები, მაგნიტური და ნეიტრალური ვარსკვლავები. მათ გადაგვარებულ ვარსკვლავებსაც უწოდებენ. ეს არის უახლესი, ასე ვთქვათ, სიახლე ჩვენს დღევანდელ მეცნიერებაში.

— და ბოლოს, რა დამოკიდებულება გაქვთ ხელოვნურ თანამგზავრებთან, აწარმოებთ თუ არა მათზე დაკვირვებას?

აბასთუმნის ობსერვატორია დიდ ყურადღებას უთმობს დედამიწის თანამგზავრებისა და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების მოძრაობის შესწავლას. ეს სამუშაოები დაიწყო 1957 წელს, როდესაც გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ამ უდიდესი მოვლენით სამყაროს ეცნობა ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების დასაწყისი. 1964 წლის აპრილში მოეწყო პირველი დაკვირვება მთვარისკენ გაფრენილ საპლანეტათშორისო აპარატზე. ჩვენთან მოხდა დაკვირვებანი ყველა აპარატზე: დაწყებული „ლუნა-7"-დან — „ლუნა-17"-მდე. ქართველი მეცნიერები, გაფრენის პირველი დღიდან, კარგად იცნობენ ავტომატურ სადგურებს „ვენერა-6"-ს და „ვენერა-7"-ს. ისინი გადაიღეს 1969 წლის 5 და 10 იანვარს. ამ დროისათვის სადგურები მიწიდან ათეული ათასი კილომეტრებით იყვნენ დაშორებულნი. ეს გადაღებები მოეწყო მათი მდებარეობის განსაზღვრისათვის პლანეტათაშორის სივრცეში.

ეს მცირე მიმოხილვა ასაბუთებს იმას, რომ აბასთუმნის ობსერვატორია მუშაობს თანამედროვე ასტრონომიული მეცნიერების მეტად საჭირო პრობლემებზე.

# ...და არა ცაზე

# ვარსკვლავები

# ფიროსმანის სოფელში



▲ ზეიმი სოფელში.



ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმი.

კარგა ხანია, ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორია ჩვენში ლეგენდად იქცა. საქვეყნოდ გახდა ცნობილი ის კუთხე (კახეთი, სოფელი მირზაანი), სადაც დაიბადა შესანიშნავი მხატვარი.

ყოველ შემოდგომაზე, მირზაანელები რთველს რომ მოილევენ, ჭირნახულს მიალაგებენ, თბილისიდან, მეზობელ რაიონებიდან სტუმრებს მოიპატიჟებენ და ზეიმით აღნიშნავენ სახალხო დღესასწაულს — „ფიროსმანობას".

ვის არ ნახავთ იმ დღეს მირზაანში, მხატვრებს, პოეტებს, მწერლებს, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს, პარტიულ მუშაკებს. სტუმრები ნიკალას სახლის წინ მოიყრიან ხოლმე თავს. აქ უჩვეულო სურათი გადაეშლება მნახველს: გორაკზე, ხელდახელოდ მოწყობილი სასცენო მოედანი... ნაძვით შემოღობილი ამფითეატრი... ნაძვითვე გაშხადებული სცენა... საკულისო კედლები. აქ იმართება მხატვრული განყოფილება ადგილობრივი ძალებით. ეწყობა მიტინგი. გამოდიან მხატვრები, მწერლები, პოეტები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ისინი დამსწრეთ მოუთხრობენ მხატვრის სიდუხჭირეში განვლილ გზაზე, მის უკვდავ შემოქმედებაზე, რომელიც სამართლიანად იქცა პოეტების, მწერლების, მხატვრებისა და მსახიობების შთაგონების წყაროდ.

ეს დღეც — „ფიროსმანობა" მირზაანში ყოველ შემოდგომაზე, ნიკო ფიროსმანიშვილის უკვდავების დასტურია.

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე (მარცხნივ) ზეიმის მონაწილეებთან.

▼



# პაბლო ნერუდა

სექტემბერში, როცა ჩილეს ტრაგედია დატრიალდა, ქვეყნიერებამ შეიტყო პაბლო ნერუდას გარდაცვალების ამბავი. ალაპარაკდა მსოფლიო პრესა. გაზეთები წერდნენ: „აღარ არის პაბლო ნერუდა. შეწყდა გამოჩენილი ჩილელი პოეტის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის, ლიტერატურის დარგის ნობელის პრემიის ლაურეატის გულისძგერა“.

დიდი და სახელოვანი გზა გაიარა ჩილელი ხალხის ღირსეულმა შვილმა პაბლო ნერუდამ. მთელი თავისი ცხოვრება მან შესწირა მშობელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას, მშრომელი ხალხის უბადლო სამსახურს. მსოფლიო მას იცნობდა, როგორც დიდ პოეტსა და მოქალაქეს, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს. პაბლო ნერუდა იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, რომლის მგზნებარე სიტყვას, შესანიშნავ პოეზიას იცნობდა მთელი სამყარო. განსაკუთრებით ძვირფასი იყო იგი ჩილელი მშრომელი და პატიოსანი ხალხისათვის, ლათინური ამერიკის ხალხებისათვის. პაბლო ნერუდას პოეზია გამსჭვალული იყო მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით და მებრძოლი სულით.

დიდი პოეტი იყო ახალი ჩილეს დაუღალავი მშენებელი, ჩილეს უშიშარი პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ერთგული თანამებრძოლი და გულითადი მეგობარი. იგი იყო ჩილეს კომუნისტური პარტიის ღირსეული წევრი და მისი ერთ-ერთი თავგამოდებული მშენებელი. მე მუდამ მიმაჩნდა, — ამბობდა იგი,—რომ კომუნისტთა პარტია უბრალო ჩილელთა ინტერესების გამომხატველი პარტიაა... ამ პარტიის ერთგული დარჩა იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

პაბლო ნერუდას კარგად იცნობდნენ საბჭოთა კავშირში, იგი ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი იყო. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელებს უყვარდათ და უყვართ მისი შესანიშნავი პოეტური ქმნილებები. პოეტის ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. ბევრი მისი ლექსია ამეტყველებული ქართულად. ყოველთვის სიყვარულით ეცნობოდა ჩვენი მკითხველი მის მგზნებარე პოეზიას.

პაბლო ნერუდას დაკრძალვა სანტ-იაგოში ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ მებრძოლთა დიდ დემონსტრაციად გადაიქცა. მიუხედავად სისხლიანი ტერორისა, თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის, პოეტი-ტრიბუნის ნეშტს უამრავი ხალხი მიაცილებდა. სამგლოვიარო პროცესია გარშემორტყმული იყო ტანკებით, ავტომატიანი ჯარისკაცებითა და კარაბინერებით... როცა სამარეში უშვებდნენ პოეტის კუბოს, პაბლო ნერუდას პატივისმცემლები, ჩილელი ხალხის წარმოგზავნილები, „ინტერნაციონალის“ სიმღერით დაემშვიდობნენ სამუდამოდ ხალხის საყვარელ პოეტს, რომლის ყოველი მგზნებარე სიტყვა ესოდენ ძვირფასი იყო ჩილელებისათვის და არა მხოლოდ მათთვის — მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.



## ძვირფასი სახსოვარი

პაბლო ნერუდა საბჭოთა კავშირის მუდამ სასურველი სტუმარი იყო. ბევრჯერ სწვევია იგი ჩვენს ქვეყანას. 1957 წლის მაისში ნერუდა საქართველოს მშვენიერ კუთხეს — აფხაზეთს ეწვია, თავის მეუღლე მატილდასთან ერთად. მოიარა თითქმის მთელი აფხაზეთი. ნახა ეშერა, ახალი ათონი, რიწის ტბა, გაეცნო აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრებას. მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მოწინავე ადამიანებთან. აღფრთოვანებული იყო სოციალისტური მშენებლობის მიღწევებით. და იმ გარდაქმნებით, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. განსაკუთრებით მოხიბლა სოციალისტური კულტურის აღმავლობამ.

ეს გვიამბო აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბაგრატ შინკუბამ, რომელიც იმ ხანად მასპინძლობდა დიდ სტუმარს.

ჩვენმა კორესპონდენტმა ბ. შინკუბას მიმართა თხოვნით ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გადმოეცა ნერუდასთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი. ამ ფოტოსურათს ამშვენებს ნერუდას მიერ ესპანურ ენაზე წაწერილი სტრიქონები: „ჩემს მეგობარ პოეტს ბ. შინკუბას, რომლისგანაც დიდად დავალებული ვარ მის შესანიშნავ სამშობლოში მოგზაურობით“.

პ. ნერუდა და მატილდა, მაისი 1957 წ.

ეს ფოტოსურათი გადაღებულია სოხუმში.
სურათზე: ბაგრატ შინკუბა და პაბლო ნერუდა.

ბაგრატ შინკუბა

## ლექსს ვერ კლავს ტყვია

ვერ დავიჯერებ,
აღარ არის პაბლო ნერუდა.
დღე — დღევანდელი
მწუხარებით გაუფერულდა.
თითქოს ერთმანეთს
გუშინ შევხვდით, ასე მგონია.
და დღემდე მისი
ხელის სითბო გამომყოლია.
კვლავ თვალწინ მიდგას,
ვინც სიცოცხლეს, მზეს უმღეროდა,
მარად მქუხარე,
მომღიმარი პაბლო ნერუდა!
იდგა მაისი.
მზე იწვოდა ზეცის თავანზე,
გაბრწყინებული
შესცქეროდა ამ სილამაზეს.
როცა ეშერას
მწვანე თხემზე იდგა ოცნებით,
გულს უხარებდა
საოცარი სტვენა ფრთოსნების.
ჩვენ ჩავცქეროდით
რიწის სარკეს, სარკეს — კრიალას
და უძველესმა
თქმულებებმა აგვაბრიალა.
თოვლიან ქედებს,
ნაკადულებს — გადახლართულებს,
ერთ დიდ სიმღერად
მიიჩნევდა ფიქრით გართული.
რიწასთან, როცა
შესცქეროდა ცას მღელვარებით,
ეხატებოდნენ
მშობლიური მთის მწვერვალები.
მართლაც კეთილი
ფიქრით იყო მაშინ გამთბარი,
ამბობდა:
— ძმაო, ეს ქვეყანა არის ზღაპარი!
— ხშირად გეწვევით, —
მპირდებოდა თვალანთებული, —
საგაზაფხულო
სიმღერებით სავსე კრებულით!
დუმს ჩილეს ჩანგი.
ჩილეს მთები ძაძამ დაჰფარა,
მამულს უნდოდა,
რომ ექუხა დღეს მის ნაღარას.
მამულს სჭიროდა
და ხალხს მისი სიტყვის სჯეროდა,
ჭირსა და ლხინში
ხალხთან იყო პაბლო ნერუდა...
ტყვიას ესვრიან,
მის დიდებას ტყვიას ესვრიან!
უნდა დახვრიტონ
წრფელი სიტყვა და პოეზია!
გაუცრუვდებათ
იმედები ხალხის ჯალათებს —
სიმართლის დროშა
მალე ჩილეს გადაანათებს.
პოეტის სიტყვას
ვერვინ დახვრეტს,
ლექსს ვერ კლავს ტყვია.
ვერ მოკლავს, რასაც
უკვდავების სიმღერა ჰქვია.

თარგმნა რევაზ მარგიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ნიჟარაძე



ნადირობა

რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ზურაბ ნიჟარაძემ საყოველთაო აღიარება 1958 წელს მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოიპოვა. საკავშირო პრესა ერთხმად აღნიშნავდა ზ. ნიჟარაძის განსაკუთრებულ ნიჭს

ზურაბ ნიჟარაძე სიყვარულით მუშაობს პორტრეტებზე, ნატურმორტებზე, თემატურსა და ჟანრულ სურათებზე. მხატვრის ფერწერული ტილოები ყოველთვის ლაპარაკობენ მასზე, როგორც პროფესიულად დაოსტატებულ ხელოვანზე. ისინი გამოირჩევიან მხატვრისათვის დამახასიათებელი ხელწერით, კოლორიზმითა და კომპოზიციური წყობით

მხატვარი ხშირად მოგზაურობს. ყოველ ქვეყანას, ყოველ კუთხეს დროის შესაბამისად თავისებურ მხატვრულ ხორცს ასხამს, თავისებურ სულს ჰბერავს და მნახველთა წინაშე საინტერესოდ შესრულებულ ფერწერულ ტილოთა გალერეას ქმნის, ეს გახლავთ იტალიური ჩანახატების სერია, — მოლოზნები, არქიტექტურული პეიზაჟები, კაპუცინები. ბოლო დროს გამოფენებზე დიდი მოწონება ხვდა წილად მხატვრის ორ ნამუშევარს: „ჩიტების გამყიდველს“ და „მაიმუნს“.

მკითხველი ხშირად წააწყდება ზ. ნიჟარაძის ლამაზად და გემოვნებით გაფორმებულ წიგნებსა და ჟურნალებს, რომლებიც საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ.

მუსიკოსები



მოხუცი საწოლით





1



2



4



5



7

30 წლის წინათ ძლევამოსილმა საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლება გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან და კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის მატიანეში

კავკასიისათვის ბრძოლა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სტალინგრადის ეპოპეასთან, ომის გარდამტეხი წლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა. ამ ბრძოლამ უდიდესი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებასა და დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებაში.

ჰალარა კავკასიონთან გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თავი ისახელა მე-18 არმიამ, რომლის სარდალი იყო გენერალი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი კი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დიდად აფასებს გამოჩენილი მხედართმთავრის კ. ნ. ლესელიძის ნიჭს, სიმამაცეს, მტრისადმი დაუნდობლობას, გულისხმიერებას, სისპეტაკეს კავკასიისათვის ბრძოლის 30 წლისთავის ზეიმის დღეებში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გულთბილი დეპეშა გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ოჯახს, რომელშიც ერთხელ კიდევ აღნიშნა გამოჩენილი მხედართმთავრის ნიჭი და სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებანი.

ხალხი არასოდეს დაივიწყებს გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

# მრისხანე კავკასიონი

3



6



1. გენერალ-ლეიტენანტი კ ლესელიძე 414-ე ქართული დივიზიის მეთაურთა შორის.

2 ქართველი მწერლების ჯგუფი სახალხო ლაშქარში თბილისი, 1941 წ

3 414-ე ქართული დივიზიის მებრძოლები.

4. ნობათი ფრონტისათვის მარცხნიდან მეორე თეო აბაშიძე

5. სურათზე: დგანან (შუაში) — გრიგოლ აბაშიძე და შალვა დადიანი კავკასიის დამცველებთან

6. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ)—საბჭოთა კავშირის გმირი ა. პირმისაშვილი, დივიზიის კომისარი კ. სოხაძე და საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ლურსმანაშვილი.

7. ქართველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები სტუმრად კავკასიის დამცველებთან. სურათზე: დგანან (მარჯვნიდან)—მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლ. ბრეჟნევი, ა. ხორავა, ვ ზარელუა, ს ჩიქოვანი, უ ჯაფარიძე და სხვ სხედან (მარცხნიდან) — გ. ლეონიძე, კოლონინი, მ. ბარამია, მე-18 არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ ლესელიძე და სხვ.

8 ნაღმტყორცნელები.



8

# ზურაბ ნიჟარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრემი



მოხუცი ქალი მამლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უბედენთიანების უკანასკნელი აფეთქება

**რევაზ ინანიშვილი** მოთხრობა მხატვარი **დიმიტრი ერისთავი**



უბედენთიანებს კოხორაშვილებს ეძახიან. ეს კოხორაშვილები ათადან ბაბადან ზემო რცხილისში ცხოვრობდნენ და დღესაც იქ სახლობენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სხვაგანაც იყვნენ, თვით ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ამ უცნაური გვარის ვიწროდგაკლაკნილ გენეალოგიური შტოს თვალმისაწიერზე მღვდელი ეფრემი ზის და ნერვიულად ჰუტავს მარცხენა თვალს. ეს ის მღვდელი ეფრემია 1812 წელს, კახელების ამბოხების წინა დღეებში, ერთი თვალაგამწაჰმული კაპიტან-ისპრავნიკი რომ წაიგდო წიხლქვეშ და კინაღამ სული ამოხადა ცემით. მართალია მერე ეფრემიც შეიპყრეს, უბირმა სალდათებმა ხეზე მიაბეს და წვერ-ულვაში ღერი-ღერ დააგლიჯეს, მაგრამ — მთელ საგვარეულოს წმიდათაწმიდა ანდერძივით აქვს გადმოცემული — ეფრემმა თურმე ქედი არ მოიხარა. ნელ-ნელა ილოკავდა სისხლიან ტუჩებს და, როცა ახალ ბღუჯას იხვევდნენ საჩვენებელ თითზე მისი წვერიდან, მხოლოდ კბილებს აკრაჭუნებდა და მარტო მარცხენა თვალს ხუჭავდა, იმასაც ბოლომდე არაო.

ეფრემს თავისი თანამეცხედრე — ფაშფაშა, ორმაგლაბაბიანი მანდილოსანი გურანდუხტი უდგას გვერდით. ძნელი წარმოსადგენია ამ ქალს მაინც როგორ უნდა ჰქონოდა დამალული ძლივს შემოჰერილი, ოქრომკერდით ნაქსოვი გულისპირის ქვეშ დენთი, მაგრამ საქმენი მისნი ღაღადებენ თვითონ. ჯერ ერთი — საკუთარი ხელით ესროლა თოფი ქმრის მტანჯველ სალდათს და ტყვიით ცხვირი წააგლიჯა ძირიძირობამდე, მეორეც — კანონის წინაშე დამნაშავემ, ფრჩხილებითა და მეხივით საზარი წყევლით მიაღწია მთავარმართებელ რტიშჩევამდე და იხსნა, როგორც თავისი თავი, ისე ქედუხრელი მეუღლეც.

ეფრემის პირველი შვილები (რა თქმა უნდა, ვაჟები, ქალი ერთი ჰყავდა და ისიც მუნჯი), გაიოზი და ბაქარი, თელავის სასულიერო სემინარიაში იზრდებოდნენ. გაიოზი, უფროსი ვაჟი, ძალიან ადრე შეაწუხა უბედენთიანობამ. ჯერ კიდევ მთლად უასაკოს, ერთ ყველიერში, საქანელაზე მდგარს წაასწრეს აღმზრდელებმა, — გლეხურად იყო გადაცმული და ისეთ ბუქნას ამოდიოდა, წივილ-კივილი გაჰქონდათ კევილეჭია გოგოებს, — გაბაწრეს და საკუთარ ამხანაგებს გააწკეპლინეს. მაგრამ სულ მალე უარესი რამ ჩაიდინა, სომეხი დიდვაჭრის მშვენიერი ასულის ტრფობა წაეკიდა, ღამეებს მისი თაღიანი ფანჯრის ირგვლივ წრიალში ატარებდა, — როგორც ამბობენ, ეს სიყვარული ცალმხრივი არ უნდა ყოფილიყო, — დიდვაჭარმა სემინარიის რექტორთან იჩივლა, გაიოზი ისევ გაბაწრეს, ისევ გაწკეპლეს, ერთი კვირის შემდეგ კი დიდვაჭრის ქალიშვილის ფანჯრის ქვეშ იპოვეს კედლიდან ჩამოვარდნილი და თავგახეთქილი.

ბაქარი, ეფრემის უმცროსი ვაჟი, უფრო მორჩილი ხასიათის გამოდგა. სემინარიაში თავაულებლად მეცადინეობდა, ძმა რომ დაეღუპა, სამი თვე ხმა არ ამოუღია, კიდევ უფრო უარესად ჩაღრმავდა და ჩაიძირა წიგნებში; რაც ევალებოდა, ლოცვა და ღვთისმსახურება, იმას ხომ ასრულებდა, ხშირად შუაღამისას დგებოდა, ბნელ კუნჭულში განაპირდებოდა, დაიჩოქებდა და ლოცულობდა — საბრალო ძმის დაუდეგარ სულს ავედრებდა უფალს. სემინარიის დამთავრების შემდეგ, იონა ხელაშვილის რჩევით, რომელიც შორეულ ნათესავად მოხვდებოდა დედის მხრიდან, ხორნაბუჯის მონასტერში წავიდა. აქ, ამ ნახევრადუდაბნოში, ჯერ კიდევ იყო ძველი საეკლესიო სკოლის მსგავსი რაღაც — ბერები აწარმოებდნენ წიგნების გადაწერას, თარგმნიდნენ, ადგენდნენ კალენდრებსა და სააღაპოებს. გულმოდგინე ახალგაზრდამ სულ ოთხ წელიწადში, 1824-28 წლებში ბევრი რამ გააკეთა: უთარგმნია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, იოსიპპოს ფლაბიოსის „ისტორია იუდიელთა აღოხრებისა“ და ჰომეროსის „ილიადას“ საკმაოდ დიდი ნაწილი პროზად.

მაგრამ გვარში გამოყოლილმა უბედენთიანობამ არც ის ატარა სწორად მიჩნეულ გზაზე. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ვინ იცის, რა დაფარული მიზნით, ქართველ მილიციელებს გაჰყვა და სადღაც ბაიაზეთის საფაშოში გააცია ტყვიამ.

აქ, ამ საფაშოში, თითქოსდა სამუდამოდ უნდა გაწყვეტილიყო კოხორაშვილების მიერ წამოლებული კაცთა მოდგმის შტო, მაგრამ არა, ასე არ მოხდა, — ეფრემი და მისი თანამეცხედრე გურანდუხტი მკრეხელობას სჩადიან, — ბედის წინაალმდეგ აზავთებულები, ქვეყანას მოუვლენენ კიდევ ერთ ძეს — თაყას. ეს თაყა ორმოცდაათიანი წლების დამლევს დაღესტანში ამოჰყოფს თავს. ლეკური ქუდი ჰხურავს, რუსული სამხრეები უკეთია და ჯერ ჩექმის ჩაცმაში შველის რომელიღაც ქართველ დიდ ოფიცერს, მერე თასმასავით გაგრეხილი ლეკის ქალი ჰყავს მკერდზე მიხუტებული და უფსკრულის თავზე მიაფრენს ცხენს.

ამ ლეკის ქალმა ხომ სულ აბურდ-დაბურდა ყველაფერი. ჯერ მოინათლა და ჯვარი დაიწერა თაყაზე, ახლა მთელი ხუთი თუ ექვსი წელი თაყაც, ისიც და მათი ოთხი შვილიც ცხოვრობენ დაღესტანში — გუნიბსა თუ ხუნზახში. თაყას წამოხურული აქვს გრძელსახელოებიანი ვეება ლეკური დურა ტყავი, ზის გუდექანზე, აბოლებს ჩიბუხს და ისმენს ათასგვარ ძველსა თუ ახალ ამბებს. ისევ ბრუნდებიან საქართველოში, ზემო რცხილისში, და აი, ერთ დღეს ლეკის ქალი, ოთხი თუ უკვე ხუთი შვილის დედა, ვეება სახლავ დანას უტოვებს თავად ვახვახიშვილის მოურავს ყანყრატოში. თაყა გაოგნებული დარბის სასამართლოდან სასამართლოში, დიდი კაციდან დიდ კაცთან. საბოლოოდ რწმუნდება ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიყრუეში, დამბაჩის გასროლით გახეთქავს საზარელ დუმილს, ცერის სიმსხო ტყვიას ჩააბუდებს მაგიდისკენ დახრილი ჩინოვნიკის თავის ქალაში და თვითონ რაღაც იდუმალი იმედით მიაბიჯებს სამუდამო კატორღისკენ.

თაყას და ლეკის ქალის ნაშიერთ მუნჯი მამიდა და ჯერაც ისევ ცოცხალი და მწეობის შემძლე ეფრემი მეურვეობენ (გურანდუხტი თაყას დაღესტანში ყოფნისას გარდაიცვალა, გარდაიცვალა სამართალში მიცემული ლეკის ქალიც). ქალიშვილები ძალიან ლამაზები არიან და კარგ ოჯახებში თხოვდებიან, სამი ვაჟიდან ერთი ადრე იღუპება, მორი ეცემა ტყეში. ორს გლეხის ქალები მოჰყავთ, მრავლდებიან, მაგრამ ორი ძმის შვიდი შვილიდან მარტო ერთია ვაჟი — უკვე მეორე თაყა. ეს თაყა ცხრაასიან წლებში თბილისშია, ხელობას სწავლობს, მერე ქარხანაში მუშაობს. ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ისა და მისი მეგობარი, ტერორისტული ჯგუფის დავალებით, თავს ესხმიან ერთ შავრაზმელ მღვდელს, შეუხტებიან ეტლზე და სამ ტყვიას დაახლიან მკერდში. მეგობარს დაიჭერენ და ჩამოაღრჩობენ, თაყა გადარჩება, რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოღრჩობილი მეგობრის დას თხოულობს ცოლად, ბრუნდება ზემო რცხილისში, მამაპაპეულ სახლში, ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას თავს ანებებს და მეურნეობას ჰკიდებს ხელს.

თაყას შვილები არიან: იოსები, გაბრიელი და ფატი — დიდი ბებიის, ლეკის ქალის ფატიმათის მოსახელე. ესენი უკვე საბჭოთა წყობილებაში აღიზარდნენ. ყველამ ისწავლა. იოსებმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა, გაბრიელი ისტორიის მასწავლებელი გახდა, ფატი — ექთანი. ყველანი სოფელს დაუბრუნდნენ, და თავისი რაიონის ფარგლებში მოღვაწეობდნენ. მაგრამ ჩვენს დღეებამდე მარტო გაბრიელმა და ფატიმ მოაღწი-

ეს. ომი რომ დაიწყო ორივე ძმა, იოსებიც და გაბრიელიც, პირველსავე მობილიზაციის დროს გაიწვიეს. კარგად იბრძოლეს, სარდლობის ბრძანებებში არაერთხელ იქნა მოხსენებული მათი სახელები. იოსები გამარჯვების დღეს ვერ შეესწრო, ვარშავის აღებისას მოკლეს, გაბრიელი ბერლინში შევიდა, ორმოცდახუთი წლის ოქტომბერში დაბრუნდა და ორ თვეში ოჯახს მოეკიდა. თაყა ომის დროს გარდაცვლილიყო, ფატი ომამდე იყო გათხოვილი და დღეს თორმეტი მარტო შვილიშვილი ჰყავს, დედა-ზეინაბიც ცოცხალია.

ოჯახის შექმნის საკითხში გაბრიელი თავისი ცნობილი წინაპრის — დიდი თაყას გზას გაჰყვა. მართალია, ქალი არ მოუტაცნია, სხვა ტომისა კი მოიყვანა. როგორც თითქმის ყველა ისტორიკოსს, იმასაც მოგზაურობა და ნანგრევ-ნამუსრევებში ბორიალი უყვარდა. ომიდან დაბრუნდა თუ არა, საინგილო მოინახულა. გზაზე, ბელაქანში, ერთ ულამაზეს აზერბაიჯანელ გოგოს შეხვდა. ავარდა, დავარდა, ქვეყანა აალაგლავა და ის გოგო მაინც ცოლად მოიყვანა. არც ზემო რცხილისელებს და არც ახლომახლო სოფლელებს ქალ-კაცის ასეთი ურთიერთობა არ უნახავთ. მათი ყოველი შეხედვიდან, გავლიდან თუ ნათქვამიდან ერთმანეთის სიყვარული და დიდი ნდობა გამოსჭვიოდა. ამ ქალით აღტაცებამ გაბრიელის გაკვეთილებშიც კი გაჟონა. ადრე ხატადქცეული დავით აღმაშენებელი თამარ მეფის სათნო სახემ დაჩრდილა. საცა კი საშუალება მიეცემოდა, ნუქარდინისადმი მიწერილ თამარის სიტყვებს ეროვნულ ჰიმნივით აღავლენდა: „...აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა. ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!" სამი შვილი ეყოლათ, სამი ულამაზესი ასული. ამან ხომ მთლად ჩაარბილა უბედენთიანების დიდომგამოვლილი ნაშიერი, ყვერულივით უვლიდა თავის ოქროს წიწილებს, ლამაზად აცმევდა, ცოტაზე სადმე წავიდოდა და თან დაჰყავდა. აჩვენებდა წინაპართა საამაყო საქმეების ნაშთებს — ტაძრებს, ციხეებს, ნაქალაქარებს. ოდესღაც ზარიანი კოხორაშვილების კორტოხი ჩააცხრო, ჩააშოშმინა. სხვებსაც სიმშვიდისა და მუყაითი შრომისკენ მოუწოდებდა, ზეპირად იცოდა ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ". სოფლის მოედანზე, წისქვილში, არყის სახდელში თუ კოლმეურნეობის მინდორში სულ ამას ქადაგებდა: „დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, არაფრის მაქნისია; ეხლა ან სახაზავი უნდა გეჭიროს ხელში (ილიას მიერ ნახმარ სიტყვა „ადლს", „სახაზავით" სცვლიდა), ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულეთი. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, ოფლის ღვრისა". სასოფლო საქმეზე პირველს იმას დაუძახებდნენ, პირველი ის გადიოდა. ვენახი ჰქონდა — ძნელად აჯობებდა სხვისი, ბაღ-ბოსტანი ჰქონდა ისიც ასევე. მხოლოდ სახლი ედგა ძველებური, ალბათ მღვდელი ეფრემის მიერ საძირკველგაჭრილი და მერე დიდი თაყას დაშენებულ-მიშენებული. ესაც ძალიან კარგად გვყოფნისო. თანაც ამ ქართულ აივანს და ბუხრებს ვილა გამიკეთებსო. ჩადნენ, ჩაილივნენ შრომაში ისიც და მისი ოდესღაც გადასარევი სილამაზის მეუღლეც. გაბრიელი ახლოს არ იკარებდა ბოლო წლებში უკაცურობაზე უხვად დარხეულ ხმებს. როცა გაიგებდა, ამანა და ამან მრუდე გზით ესა და ეს შეიტანა შინაო, ეცოდებოდა ის მრუდე გზით მავალი. ეკამათებოდნენ, ეკაპასებოდნენ; ბიჭო, ძმაო, მამავ და ამხანაგო, შესაცოდი რა აქვს იმ კაცს, შესაცოდი შენა ხარ, ერთი კიბე ვერ გამოგიცვლია სახლისთვისაო, მაგრამ გაბრიელი მაინც თავისაზე იდგა და აქაც თამარ მეფის სიტყვებს იხსენებდა ნუქარდინისადმი მიწერილს: „შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილი ხარ, ხოლო ჩვენ არცა სიმდიდრესა და არცა ძალასა სპათა ჩვენთასა, არამედ ძალსა ღმრთისასა"; და აქვე განმარტავდა რაც იგულისხმებოდა ამაში: ადამიანის ძლიერება ოქრო-ვერცხლისა და სათქვლეფ-სახეთქავის სიმრავლეზე კი არ არის დამოკიდებული, მთავარი რწმენაა, რწმენა სიკეთის ქმნისაო. მისი კოლეგებიც კი ათვალწუნებით უყურებდნენ, ეგ თავისი ისტორიის შუა ფურცლებშია ჩაყინული და აქეთ რა ხდება, ვერაფერს ხედავსო. გაბრიელი კი — დაბალი, კაფანდარა, ძვალ-ტყავა კაცი — ძალიან ამაყად დადიოდა. გაგეცინებოდათ კიდეც, დამსახურებული მასწავლებელი, ხანდახან გალიფე შარვალს და წვივებზე შემოჭერილ ჩექმებს ჩაიცვამდა და ისე გამოცხადდებოდა ქორწილში თუ გასვენებაში. გოგოების ქალაქში სწავლამ, მათმა გათხოვებამ, საქორწილო ხარჯებმა, მზითვმა, მისვლა-მოსვლამ, ძეობებმა და სხვა ასეთებმა ცოტა გაალიზიანეს, მაგრამ სხვების თვალში მაინც არაფერი შესტყობია. არაფერი შესტყობია მაშინაც, როცა უფროსი გოგო ბავშვით ხელში დაუბრუნდა ქმრის სახლიდან გამოქცეული, მაშინაც კი, როცა განათლების განყოფილებაში დაამუშავეს თავისი საგნის ცალმხრივად წარმართვისთვის. მაგრამ ერთ დღეს იმასაც აუფეთქდა თითქოსდა სამუდამოდ მინესტიანებული დენთი უბეში და ამ აფეთქებით საბოლოო ჯვარი დაუსვა უბედენთიანი კოხორაშვილების აქეთ მომავალ გზას.

იმ დღეს კვირა იყო და გაბრიელი ბაზრობაზე წავიდა რაიონულ ცენტრში; იქნებ საახალწლო ბურვაკი ვიყიდო რამეო. იარა, ივაჭრა, არც ერთი არ დაუჯდა ჭკუაში. — ნეტა ხორცის მეტი რა იქნება მაშინაო, — დაიიმედა თავი და გამობრუნდა. თავისი სოფლისკენ მიმავალ მანქანას განაპირა უბნიდან უნდა გაჰყოლოდა, გავიდა იმ უბანში, გზაჯვარედინთან გაჩერდა, ცოტა ხანს იდგა, მერე მესერის ძირში გამწკრივებული ქვებიდან ყველაზე მოხერხებული ამოარჩია და დაჯდა. ზის და გზას გაჰყურებს. სხვებიც არიან აქ, ორი ბაზრიდან წამოსული ქალი, ერთი ბერიკაცი — წახრილი, ჯოხზედაყრდნობილი, და ორიც გოგო. გოგოები ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი იქნებიან, ფორმის ტანსაცმელი აცვიათ, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოწაფეებს ჰგვანან, მზესუმზირას აკნაწუნებენ, ჩუმად თავიანთვის ლაპარაკობენ, ხანდახან ასევე ჩუმად იცინიან და ერთმანეთს ეფარებიან ამ სიცილის დროს.

ვნახოთ და გამოიარა „ვოლგამ", შიგ ორი კაცი იჯდა, ოციოდე მეტრით გასცდა მესაცდელს, იქ დამუხრუჭდა, უკან-უკან დაიხია და გოგოებთან გაჩერდა. გადმოვიდა ერთი ტახივით თავწვრილი, წითელხელებიანი „ზდაროვი". მიადგა გოგოებს გაბრიელისკენ ზურგშექმოქცეული და რაღაცას ელაპარაკება, მანქანისკენ ეპატიჟება. გოგოებმა მესერისკენ დაიწიეს, „ზდაროვმა" აქეთ-იქიდან თავისი დიდი წითელი ხელები გადაუღობა. გოგოები შეშინებულები შეწრიალდნენ, გაბრიელისკენ დაიწყეს ყურება, „ზდაროვმა" შეიგინა და ერთ გოგოს მკლავში წაეტანა.

— გვიშველეთ, ძია! — ამოიწკმუტუნა გოგომ.

გაბრიელი წამოხტა და შუაში ჩაუვარდა:

— რა ამბავში ხართ, ამხანაგო, სადა გგონიათ თავი?!!

„ზდაროვმა" გაბრიელი ხმისამოუღებლად მისწია გვერდზე და ისევ თავისი განაგრძო:

— ნუ წრიპინებთ, თორემ...

ისეთ რამეს ჰპირდება გოგოებს, ბაზრიდან წამოსული ქალები შეძრწუნებული იღებენ ბადურებს და ჩანთებს, ჩუმი წყევლით შორდებიან იქაურობას.

სახეშეშლილი გაბრიელი რწყილივით ხტის. — შენ, იცი, შენ ის კი ნუ გგონია!.. „ზდაროვი" კისერში თითებით ჩააფრინდა, თავი დაალუნინა, თითქმის კოჭებთან მიუტანა, სისინით უთხრა, — მოშორდი, ბალღინჯოვ, თორემ შენც ამათ... და ჰკრა წიხლი. საბრალო გაბრიელი მესერს მიენარცხა. მესერში კარი იყო დატანებული, გაბრიელი იმ კარში შევარდა, ეზო გაირბინა, სახლის ხუთიოდე საფეხურიან კიბეზე ავარდა და შეშლილის ხმით იყვირა:

— თოფი, თოფი გექნებათ! ცოფიანი ძაღლი!

აივანზე მოხუცი ქალი ხელსაფქვავს ატრიალებდა, ვაიმე, შვილებოო, წამოიწია, მუხლები ვერ აიტანა, ისევ ჩაჯდა და იქიდან ამოიძახა:

— შკაფის თავზეა, შკაფის თავზე!

. . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . .

მერე უკვე სხვები ჰყვებოდნენ, რაც მოხდა. გაბრიელი ორლულიანი თოფით მორბოდა „ზდაროვმა" რომ დაინახა, გაიცინა, მშვიდად ჩაიყო ხელი ჯიბეში და დაუძახა: ზარბაზანი, ზარბაზანი მოიტანეო. გაბრიელმა თოფი ასწია, „ზდაროვმა" შავადალაპლაპებული რევოლვერი ამოიღო. მაგრამ არ იცოდა, რომ გაბრიელი უბედენთიანი კოხორაშვილი იყო და ამაში მოტყუვდა. გაბრიელს ფეხიც არ შეუნელებია, ისე გამოაქუხა თოფი ორჯერ, ზედიზედ...

„ზდაროვმა" მანქანასთან ჩაიჩოქა და რევოლვერი ხელიდან გაუვარდა.



# გარსია ლორკას მკვლელობის ახალი დოკუმენტი

ესპანეთში კონტრრევოლუციის გამარჯვებას ათასობით ადამიანი შეეწირა. რეპრესიებს რომ გაქცეოდნენ, ნახევარმილიონამდე ესპანელი კატალონიიდან საფრანგეთში გადავიდა. ლტოლვილებს შორის ხუთასამდე უნივერსიტეტის პროფესორი იყო. გრანადის უნივერსიტეტის რექტორმა ვერ მოასწრო საზღვარგარეთ გაქცევა და იგი მოკლული იქნა ფრანკოს დამქაშების მიერ. იქვე იქნა დახვრეტილი მრავალი სოციალისტი და რესპუბლიკელი. მათ შორის, ესპანეთის სახელგანთქმული პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა.

პარიზის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა იან ჯიბსონის წიგნი, რომელიც აგვიწერს 1936 წლის ზაფხულში ესპანეთში მომხდარ დრამას. წიგნი დაწერილია ესპანეთის პოლიციის და სამხედრო არქივის მასალებზე დაყრდნობით. ავტორი ცდილობს არსებული დოკუმენტების მიხედვით, უტყუარი ფაქტებით, ობიექტური კვლევით დაარწმუნოს მკითხველი წიგნის სიმართლეში.

იან ჯიბსონი ამტკიცებს, რომ კონტრრევოლუციონერების მიერ შეთითხნილი ვერსია, თითქოს ფედერიკო გარსია ლორკა მსხვერპლია სამოქალაქო ომის „ინციდენტისა", რომლითაც ისინი ცდილობდნენ შეენიღბათ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, სრული სიცრუეა.

სინამდვილეში მკვლელობა ჩადენილია გრანადაში. ფედერიკო გარსია ლორკა დაპატიმრებული და დამწყვდეული იქნა ქალაქის პრეფექტურაში კლერიკალების მიერ.

1936 წ. 19 აგვისტოს, ვისნარში, სასაფლაოზე, სამხედრო ტრიბუნალის ბრძანებით დახვრიტეს ფედერიკო გარსია ლორკა. ორი დღით ადრე, აქვე, სიცოცხლეს გამოასალმეს გრანადის უნივერსიტეტის პროფესორები და ქალაქისთავი — პოეტის დისშვილი.



ერემია ქარელიშვილი

# შეხვედრა ეკატერინე გაბაშვილთან

მოგონება

ვისაც ეკატერინე გაბაშვილის ახალგაზრდობის სურათი უნახავს, არ შეიძლება ცოცხლად არ ჰყავდეს წარმოდგენილი მშვენიერი გარეგნობის თავადის ქალი, რომელსაც არც თავისი ღირსების შეგრძნება აკლია და არც მიმზიდველი უბრალოება.

სიბერის ჟამსაც ეკატერინეს არ აკლდა მიმზიდველობა. სახე ჭაღარა თმებს და ნაოჭებს დაეფარა, წელში მოხრილიყო, ყურთასმენა დაქვეითებოდა, მაგრამ თვალებში კვლავინდებურად სითბო ედგა. მე იგი არაერთხელ მენახა ვიწრო წრეშიც და შედარებით ფართო საზოგადოებაშიც, მაგრამ პირადი ნაცნობობა არა მქონდა, ეს არც გასაკვირია. მე რომ მწერლობაში ფეხი შევდგი, იგი უკვე ღრმად მოხუცებული იყო, უმეტეს დროს შინ და სოფელში ატარებდა. იგი პირადად გავიცანი, როცა გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში" მასზე ვრცელი წერილი მოვათავსე. ეს წერილი ეკატერინეს წაეკითხა და ჩემი ვინაობით დაინტერესებულიყო, ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოეთქვა ცნობილ მწერალ ქალებთან — ნინო ნაკაშიძესთან, მარიჯანთან, ანა ხახუტაშვილთან და ლიდია მეგრელიძესთან. ესენი ეკატერინეს ხშირი სტუმრები იყვნენ. როგორც კი შეიტყობდნენ ეკატერინე სოფლიდან ჩამოვიდაო, მაშინვე მიაკითხავდნენ. მოხუცი მასპინძელი თავაზიანად შეეგებებოდა სტუმრებს, სოფლის ბარაქის ნაყოფით გაუმასპინძლდებოდა და მათ შორის გულითადი ბაასი გაიმართებოდა. მოხუცებულობის მიუხედავად, ეკატერინეს ბოლომდის ჰქონდა შერჩენილი ცნობისმოყვარეობა, გაცხოველებული ინტერესი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. ასეთი შეხვედრების დროს ახალგაზრდა მეგობრებს დაწვრილებით გამოკითხავდა ხოლმე თბილისის ამბებს, თვითონაც ხალისით უამბობდა სოფლის შთაბეჭდილებებს.

ლიდია მეგრელიძემ გადმომცა ეკატერინეს სურვილი, ძალიან მესიამოვნა... ვკითხე, სად და როდის შეიძლება მასთან შეხვედრა-მეთქი.

— თვითონ უნდა მწერალთა კავშირში მოსვლა და თქვენთან შეხვედრა, — მითხრა. ამ ცნობამ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, მაგრამ რას ვიზამდი, შევთანხმდით, დღე და საათი დავთქვით.

ზაფხულის თბილი, მზიანი დღე იდგა, ნაშუადღევის პირველ საათზე ლიდია მეგრელიძემ მკლავგაყრილი მძიმე-მძიმედ ამოიყვანა ეკატერინე მწერალთა სასახლის პირველი სართულის კიბეებზე. იგი ხანდაზმულობისაგან დასუსტებული ჯოხს მაგრად ეყრდნობოდა და შიშნარევად აბიჯებდა. მათ უკან ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი) მოჰყვებოდა. მას ფსევდონიმი ჰქონდა „ცქვიტი", თორემ იმ დღიდან, როცა ფეხი იტკინა, სიცქვიტისა არაფერი ეტყობოდა. ანა ხახუტაშვილი კარგი შესახედაობის დარბაისელი ადამიანი გახლდათ და სიცოცხლის ხალისით გამოირჩეოდა. გაიცნობდით თუ არა, მიხვდებოდით, რომ იგი ოდესღაც მართლა ცქვიტი უნდა ყოფილიყო. როცა კი ვინმე ფსევდონიმზე სიტყვას ჩამოუგდებდა, მაშინვე მიუგებდა — ვისაც ჩემი ახალგაზრდობა უნახავს, ჩემი ფსევდონიმი არ აკვირვებსო. ეს ფსევდონიმი ჩვენმა საყვარელმა შიო მღვიმელმა დამარქვაო.

ეკატერინეს კიბეებზე შევეგებე, ხელი შევაშველე, მას ამ დროს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. ალბათ, იფიქრა, რიგითმა ახალგაზრდამ ჩემს გაჭირვებას თვალი მოჰკრა და ჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინაო. როგორც კი კიბეები ამოათავა და სული მოითქვა, თავი მაღლა ასწია, ირგვლივ მიმოიხედა, მგონი მე მეძებდა... ანა ხახუტაშვილი მიხვდა და მაშინვე გააცნო ჩემი თავი:

— აი ეს გახლავთ ერემია, ხომ ხედავთ, ეკატერინე, — შავ თვალებს როგორ აბრიალებს.

ეკატერინემ გაიღიმა, დაკვირვებით შემომაცქერდა; ხელი გამომიწოდა. მისი თბილი, ფაფუკი, სიბერისაგან ოდნავ შემჭკნარი ხელი ხელისგულში მოვიქციე და ხატივით ვემთხვიე. იგი წმინდანივით იდგა...

ეკატერინემ ბაღში გასვლა ინება, სადმე ჩამოვსხდეთო.

ბაღში სითბო იდგა, ეკატერინეს ესიამოვნა. ოთხივე ერთ გრძელ სკამზე მოვთავსდით. მე ეკატერინეს გვერდით ვიჯექი, ჩვენს აქეთ-იქით კი ცქვიტი და ლიდია ისხდნენ... პატარა პაუზა ჩამოვარდა. საუბრის დაწყებას ეკატერინესგან მოველოდით, ის კი რაღაც საამო ფიქრებს წაეღო. დროდადრო თავს აიღებდა და თვალს ირგვლივ მოავლებდა-ხოლმე. მერე თითქოს თავისთვის, მაგრამ ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— ამ სასახლემ ბევრი რამ გამახსენა, ტკბილ-მწარე ფიქრები ამიშალა.

— მაგონდება, — განაგრძო ეკატერინემ, — პირველად რომ მოგვიწვია აქ სარაჯიშვილმა. ვიდრე ამ სახლს ააშენებდა, მშვენიერი სახლი ჰქონდა სასახლის ქუჩაზე (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი, ე. ქ.), ქართული თეატრის პირდაპირ. იქ ხშირად გამართულა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომები. ქართველ მოღვაწეთა ერთ-ერთი სასიამოვნო თავშესაყარი ადგილი იყო. შემდეგ აქეთ გადმოინაცვლა.

— ახლა ახალგაზრდებს თავისი აშენებული ჰგონიათ, ისე ეპატრონებიან, — იხუმრა ცოტა პილპილნარევად მუდამ ენაკვიმატმა ცქვიტმა და თან ჩაიცინა.

— დიახ, ყველაფერი მუდამ ახალგაზრდებს ეკუთვნით, — მოუბრუნდა ცქვიტს და ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ამ ხუმრობას სერიოზულად ეკამათებაო. — მოხუცები მიდიან, ისინი კი მოდიან, ჯანღონით სავსენი, ახალი იდეებით გატაცებულნი. ახალგაზრდობის გატაცებამ საზღვარი არ იცის და ამიტომ არის ის ლამაზი, ძლიერი. რა გადამატანინებდა იმდენ ჯაფასა და გაჭირვებას თერთმეტი შვილის დედას, ლამაზი იდეები, ლამაზი გატაცება რომ არ მქონოდა. აი რას გეტყვით, შვილებო, — მოგვმართა დინჯად, დარიგების კილოთი, და სანამ სათქმელს გააგრძელებდა, ჯერ ცქვიტსა და მიმქრალს მიუბრუნდა — თქვენ შვილებად მეკუთვნითო, მერე მე შემომხედა, — შენ კი შვილიშვილადო, — ჩვენი ისტორიულად გატანჯული ერის უძლეველობის წყარო სწორედ ახალგაზრდობა იყო, ის ახალგაზრდობა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, ქვეყნის პატრონად მიაჩნდა თავი და მისი სიკეთისათვის არაფერს იშურებდა. მოხუცები იმიტომ არიან მოხუცები, რომ ახალგაზრდული გატაცება, მეტსაც ვიტყვი, ახლის გრძნობა შენელებული აქვთ. აბა დაუკვირდით, ჩვენ ხალხს რა ეშველებოდა, რომ თავის დროზე დიდებული ახალგაზრდა — ილია არ გამოსჩენოდა. განა მოხუცებს შეეძლოთ იმის გაკეთება, რაც სრულიად ახალგაზრდა ილიამ შეძლო. ახალგაზრდობა პატივით მოსახსენებელია მოხუცთაგან, სხვა რომ არა იყოს რა, მოხუცები ხომ მათში ვაგრძელებთ სიცოცხლეს!..

მე განცვიფრებაში მომიყვანა ღრმად მოხუცებულის ასეთმა ჯანსაღმა მსჯელობამ.

— დავბერდი, თქვა სინანულით, — ძველებურად ვეღარ ვადევნებ თვალყურს ახალგაზრდებს. მათ სათუთი მოპყრობა უნდათ. ჩვენი მწერლობის ბედი ისეთი იქნება, როგორ ახალგაზრდობასაც აღვზრდით. — თქვა და მოფერებით ხელი ხელზე შემახო, შევხედე, თვალებში საამო შუქი ედგა. მე მოკრძალებით შევყურებდი და მორიდებით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვეპასუხებოდი. მხოლოდ ანა და ლიდია ესაუბრებოდნენ თავისუფლად, თამამად. ყველა საკითხზე, რომელიც კი აინტერესებდა, თითქმის ამომწურავ პასუხს აძლევდნენ. ეკატერინემ დიდად გაიხარა, როცა ანა ხახუტაშვილმა უთხრა, ახალგაზრდობას დიდი ყურადღება ექცევაო.

— მეტი რა უნდათ, ახლა ყველაფერი ახალგაზრდების ხელშია, ჩვენ ვიკითხოთ, — წარმოთქვა ლიდიამ.

მეგრელიძის სიტყვების საყვედურის კილო ეკატერინეს არ გამოეპარა. ყურზე ხელი მოიჩრდილა და დააკვირდა.

— მაგას რა სჯობს, ჩემო ლიდია, ვისაც ძველი დროის უყურადღებობა გამოგვიცდია, განა ეგ არ უნდა გვახარებდეს?

— თქვენ მაინც, ილიასთანა მზრუნველის პატრონს, ჩემო ეკატერინე, საყვედური გეთქმით?

ეკატერინემ თავი დაიქნია და დარიგებით მიუგო:

— თქვენ ახალგაზრდები ხართ, ილია არ გინახავთ, ის სულ სხვა ადამიანი იყო, მისი მსგავსი არც მის სიცოცხლეში და არც შემდეგ, შეიძლება მანამდეც, არა გვყოლია. განა მარტო ჩემი, ყველას მზრუნველი იყო, მის ახლოს ყოფნა ადამიანს სულიერად და გონებრივად ამაღლებდა; შორსმჭვრეტელი თვალი და მახვილი სმენა ჰქონდა, არაფერი გამოეპარებოდა. ყველაზე კარგად იცოდა მის ერს რა როდის მოუხდებოდა. ახალგაზრდობას კი არა, თავის სითბოს მოხუცებსაც არ აკლებდა. აბა გაიხსენეთ, როგორ დაიტირა გრიგოლ ორბელიანი, ან რანაირად დააფასა იოსებ დავითაშვილი, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ეს უბრალო ადამიანი. მაშინ ბევრს გაუკვირდა ილიას ასეთი ხელგაშლილობა. ილია ერის კაცი იყო და ყველაფერს ერის ინტერესებით აფასებდა. დავითაშვილი სრულიადაც შემთხვევით არ დაუყენებია დიდ მამულიშვილთა გვერდით.

ილიაზე რომ საუბარი გაიბა, ეკატერინე გახალისდა, ეტყობოდა ილია განსაკუთრებით უყვარდა და მასზე საუბარი სიამოვნებდა, ანამ და ლიდიამაც შეკითხვები არ დაიშურეს. საინტერესო ბაასი აეწყო.

— ილიას გამო დიდხანს გული მოკლული მქონდა, ახლა კი ბედნიერად ვგრძნობ თავს, — გვითხრა ეკატერინემ და ილიასთან შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა.

— ერთხელ სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებაზე ილია ცხარედ შეედევა იმათ, ვისაც სურდა ბანკის წლიური მოგება წევრებზე გაენაწილებინათ და საქველმოქმედოდ არაფერი დაეტოვებინათ. — ილიამ იძალა — სათავადაზნაურო ბანკის მოგების ყოველი გროში სათავადაზნაურო სკოლას უნდა მოხმარდესო, — თქვა და თავისი გაიტანაო. ეკატერინეს სიტყვით, ილიას, თურმე, სათავადაზნაურო სკოლაში მიღების დადგენილი წესი აღარ აკმაყოფილებდა, მის შეცვლაზე ფიქრობდა, — საჭიროა




ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს ნიმუშები ჩაწერილია ნოდარ შამანაძის მიერ.

## ორი რძალი

ორი რძალი მოვიყვანე,
ორივენი ერთსა დღესა.
ერთი მოდის, მეკითხება:
— ხომ ვჯობივარ მეორესა?
— ორივენი კარგები ხართ,
შენ მთვარე ხარ, ის ჰგავს მზესა.

მთქმელი ვ. ჩოხელი.
თიანეთი, სოფ. ჩაბანო.

## რადგან ნაგრამი ბევრი მყავს

დავბერდი, შვილო, დავბერდი,
ამიკანკალდა მუხლები,
დაჯდომას, მერე ადგომას
მთელი საათი ვუნდები.
სიკვდილი მაინც ვერ მაკრთობს,
თუგინდ დღეს გადავბრუნდები,
რადგან ნაგრამი ბევრი მყავს —
ღუღუნა მტრედის გუნდები.

მთქმელი ვ. ჭილოსანი.
ლანჩხუთი.

## იხარეთ

იხარეთ, შატილიონნო,
რა დღე დაგიდგათ მზიანი,
თქვენს მაღალ მთებშიც მოვიდა
ცხოვრება ხალისიანი.
ქვაც აღარ დაგეკარგებათ,
ნასხლეტი მაღალ კლდისანი,
აგიყვავილდათ ოცნება,
აგიყვავილდათ მიზანი:
კარზე მოგადგათ ფართო გზა,
როგორც ნასროლი ისარი.

მთქმელი ნ. გიგაური.
თიანეთი, სოფ. ვერხველი.

## მწყემსის ჩივილი

თეთრი ფარა ფარას მოსდევს,
მოდის ნაგუბ წყალივითა.
ცხვრების მიყოლ-მოყოლაში
სატრფო სხვასთან წამივიდა.

მთქმელი ი. ბუაჩიძე.
ახმეტა, სოფ. ჯვარბოსელი.

## სიმდიდრე

იყო ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი. მისას არც არას ცეცხლი ესწვავდა, არც არას წყალი წაიღებდა. ერთხელ ეს კაცი ტყისკენ მიდიოდა მხარზე თოფგადაკიდებული: იქნებ ხოხობს მაინც გადავაწყდე სადმე და სადილი გავიჩინოო. უცებ მგელი დაინახა, ზურგზე ცხვარი მოეგდო და მიძუნძულებდა. ესროლა თოფი. მგელი დაიჭრა, ტვირთი მიატოვა და თვითონ თავს უშველა. მივარდა კაცი და ცოცხალი ცხვარი შერჩა ხელში. წაიყვანა შინ. ცხვარი სახლში შევიდა და რა დაინახა: არის სიღარიბე ურცხვად გამოჭიმული. გაბრაზდა, ფეხი დაუბაკუნა: გამეცალე, აქ შენი ადგილი აღარ არისო. მერე ერთ კუთხეში კრავები დაყარა, მეორეში მატყლი, მესამეში ყველი, მეოთხეში კი თვითონ დადგა. სიღარიბემ იკადრა და გაიძურწა გარეთ.

მთქმელი ნ. მსუქნიშვილი.
სოფ. წინანდალი.

## სოფელა

ერთი ქალი სოფელ-სოფელ დადიოდა, ვის რას სთხოვდა, ვის — რას. ამიტომ სოფელა შეარქვეს.

ერთხელ ეს სოფელა კარის მეზობელთან მივიდა და დაეღრიჯა:

— ხაჭაპური მინდა გამოვაცხო და ცოტა ფქვილი მასესხე.

— ყველი გაქვს? — ჰკითხა მეზობელმა.

— ყველს ვიშოვი. — მიუგო სოფელამ.

— რომ იშოვი, მოდი და ფქვილს მოგცემ. — შეპირდა მეზობელი.

ორიოდე საათის შემდეგ მეზობელმა თვალი მოჰკრა სოფელას: თავდახრილი მიილალებოდა შარაგზაზე.

— რა ჰქენი, იშოვე ყველი?! — მიაძახა.

— რას ვიშოვი, ყველა გაგიფრთხილებია და შეგიშინებია, ახლოსაც არ გამიკარეს! — უპასუხა მწყრალად სოფელამ.

— მე რომ შეშინება შემეძლოს, შენ შეგაშინებდი და კარდაკარ ხეტიალს მოგაშლევინებდი! — მიუგო მეზობელმა.

მთქმელი ალ. თოიძე
სოფ. ბახვი, მახარაძის რაიონი.

ამ სკოლის კარი უფრო ფართოდ გავაღოთ და არათავადთა შვილებიც მივიღოთო.

— ახლა რომ ილია ცოცხალი იყოს და ხედავდეს, სკოლის კარი ყველასათვის ერთნაირად ღიაა, დიდად გაიხარებდა. სწავლა-განათლების სწორედ ასეთ გაფართოებაზე ოცნებობდა, — დასძინა ეკატერინემ.

ეკატერინემ გვიამბო ოლღას საშუალებით როგორ მიიწვია შინ დამწყები მწერალი, როცა ლაისტი პირველად ესტუმრა.

— მე სხვების ნათქვამით ვიცოდი, რომ ილიას მოსწონდა ჩემი მოთხრობები, კერძოდ — წმინდა ქართული ენა, მაგრამ ამ ყურადღებამ განსაკუთრებით წამათამამა.

ეკატერინემ ილიასთან შეხვედრის სხვა შემთხვევებიც გაიხსენა.

ილიაზე საუბარი რომ დაამთავრა, შეჩერდა, სათითაოდ შემოგვხედა ყველას და ღიმილით გვითხრა, — მგონი, დაგღალეთ ჩემი ბებრული ჩიფჩიფით. ასე იციან მოხუცებმა, დაიწყებენ და ვეღარ გაათავებენ. გაუთავებელი ლაპარაკი სხვისა არ მომწონდა და ეს სენი მეც დამმართვიაო.

მე ხმა ვერ ამოვიღე, გატაცებით ვუსმენდი და სულაც არ მიგრძვნია, რომ კარგა დრო გასულიყო. ანამ და ლიდიამ საუბარი მოუწონეს და სიტყვა საბავშვო მწერლობაზე გადაიტანეს. ეკატერინემ თავი აარიდა ამ საუბარს, იქნებ, დაღლილობის გამო, ან კიდევ თვალყურს ვერ ადევნებდა დღევანდელ საბავშვო მწერლობას და თავისი აზრის გამოთქმა ზედმეტად ჩათვალა... ის იყო მომიბრუნდა და მკითხა, რას ვსაქმიანობდი, რომ ბიბლიოთეკიდან პორტფელით ხელში გალაკტიონი გამოვიდა, პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. პოეტს ისეთი სიყვარული ჰქონდა მხცოვანი მწერლისა, რომ თვალს სადაც მოჰკრავდა, გვერდს ვერ აუხვევდა.

ეკატერინეს ხმამაღლა, გულითადად მიესალმა, ხელზე აკოცა. ეკატერინემ სიცილზე იცნო გალაკტიონი, გაიხარა და მაშინვე ჰკითხა:

— შვილო, როგორ ხარ, ხომ კარგად მიდის შენი საქმე?

— გმადლობთ, არა მიშავს რა, ჩემო დედა და ყველას გულშემატკივარო, ისევ გახსოვართ, ახალგაზრდები!

— ჩემს საყვარელ გალაკტიონს რა დამავიწყებს!

გალაკტიონმა ბოდიში მოიხადა, სადღაც მეჩქარებაო, ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი, აკოცა, გამოემშვიდობა, ჩვენც თავისებური ალერსით გადმოგვხედა და სწრაფი, საქმიანი ნაბიჯით მწერალთა სასახლიდან გავიდა.

— შვილივით მიყვარს გალაკტიონი, — თქვა ეკატერინემ, — ძალიან კულტურული ახალგაზრდაა, თავიდანვე ასე თავაზიანი იყო. მახსოვს მისი პირველი ნაბიჯები მწერლობაში, მახსოვს, კარგად მახსოვს, როგორ გაახარა, როგორი იმედები აღუძრა ქართველობას მისმა პირველმა ლექსებმა, ნამეტნავად პირველმა წიგნმა. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ დიდი ხანია ჩვენს მწერლობაში ასეთი ძლიერი ნიჭის პოეტი არ გამოჩენილაო. ეს იმედები არ გაუცრუა ხალხს. იმ დუხჭირ დროს ქართველისათვის კარგი ლექსი სიცოცხლის წყარო იყო, უყვართ და აფასებენ ჩვენში პოეტებს!

— რა მოგწონს გალაკტიონის? — შეეკითხა ლიდია.

— პირველად რომ გალაკტიონი გამაცნეს, მგონი, ია ეკალაძემ, ომიანობის დრო იყო. ისე მომეჩვენა, რომ ხელმოკლედ უნდა ყოფილიყო. გული მეტკინა, ჩემს სიძეს, კოტე მაყაშვილს შევჩივლე, ჩემი ეჭვი გავუმხილე. იგი სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად მუშაობდა, ვთხოვე — დახმარებოდნენ, ხელი შეეწყოთ. ეს ამბავი როგორღაც შეეტყო გალაკტიონს, მადლობის გადასახდელად შინ მოვიდა, მას შემდეგ ძალიან ხშირად მხვდებოდა ხოლმე და ყოველთვის უაღრესად თავაზიანად.

— მე მოხიბლული ვიყავი მისი სითამამით შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც. აბა ვინ გამოიჩინა გალაკტიონისთანა გაბედულება? გაიხსენეთ, სხვები რომ დააფრთხო რუსეთის რევოლუციამ, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ, იგი სწორედ მაშინ გაემართა იქითკენ, პეტროგრადისაკენ. პირველად ეს მეც მეუცხოვა. მოხუცებმა ვერ გავუგეთ მაშინ რევოლუციას.

ცქვიტმა ლიდიას რაღაც გადაულაპარაკა. ეკატერინემ ვერ გაიგონა, მაგრამ ტუჩების მოძრაობაზე მიხვდა, ეგონა, ეს გადალაპარაკება მის საუბარს ეხებოდა. ამიტომ პირი მისკენ მოიბრუნა და ცოტა გულმოსულივით თქვა:

— ჩვენ, ვინც შორს ვიყავით და არც თუ ძალიან გვჯეროდა რევოლუციის სწორგზიანობა, არაფერი გვეთქმის, თუნდაც ვთქვათ, ჩვენს ნათქვამს გრძნობა დააკლდება. გალაკტიონმა თავისი თვალით ნახა, იგრძნო რევოლუცია და ამიტომაც მისი სიტყვა რევოლუციის შესახებ დამარწმუნებელია. მე დიდად ვაფასებ გალაკტიონის სითამამეს და გაბედულებას. ეს თვისებები ახალგაზრდას არ უნდა აკლდეს...

საუბარი თითქმის აქ შეწყდა. ლიდიამ და ანამ საბავშვო ლიტერატურის სექციის გეგმებზე დაიწყეს ლაპარაკი, ეკატერინეს უთხრეს — ნინო ნაკაშიძეს სურს საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში ნორჩ მკითხველებთან შეხვედრა მოგიწყოსო. ეკატერინემ ხელები გაასავსავა და კატეგორიულად უარი თქვა.

— ახლა თქვენ და ახალგაზრდები უნდა ხვდებოდეთ ბავშვებს, მე რაღა შემიძლია მათ ახალი და საინტერესო ვუთხრა.

ეკატერინე წამოდგა. მე მაჩაბლის ქუჩის ბოლომდე მივაცილე, ლიდია კი შინამდე გაჰყვა. იმ დღეებში ეკატერინე სოფელში მიემგზავრებოდა, ძალიან სუსტად გრძნობდა თავს, — სოფლის ჰაერი მიხდება, იქ ცოტას მოვღონიერდებიო. — მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მისი საყვარელ სოფელში უკანასკნელი გამგზავრება აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალ დრეზნერი

# მობრძანდით, რჩევა უნდა გკითხოთ

პატარა ფუნთუშა ქალი ოთახში შემოვიდა, მიუახლოვდა მაგიდასთან მჯდომ სერჟანტ ბევე-ლაუს და მიმართა:

— მე მისის ფრენსის ტორჩეზი გახლავართ. ვცხოვრობ 631 სახლში ისტ ხოვარდსტრიტზე. მკლავს მეუღლე — ბერნარდ ტორჩეზი. 631 — ისტ ხოვარდსტრიტი... კი მაგრამ, რატომ არაფერს იწერთ?

— სანამ ფორმალურ საჩივარს არ აღვრიცხავ, ვერაფერს ჩავწერ. ე. ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ მეუღლეს თქვენი მოკვლა აქვს განზრახული?

— არა, მე ვამბობ, რომ იგი მკლავს ყოველ წუთს. აი თუნდაც ახლა, როდესაც მე თქვენ გე-საუბრებით. გასაგებია?

— არა, მემ, ვშიშობ, რომ ვერაფერი გავიგე. მე-უღლე ცდილობდა თქვენს მოკვლას, მგონებ ასეა არა?

— არა, სრულებითაც არა, — თქვა მისის ტორ-ჩეზმა. — მას ჯერჯერობით არაფერი ჩაუდენია ისეთი, გარდა იმისა, რომ დღენიადაგ იმეორებს ერთსა და იგივეს: „მე შენ მოგკლავ". აი უკვე სამი კვირაა, დღეში სამჯერ ყოველ მარჯვე შემთხვევას იყენებს ამ სიტყვების გასამეორებლად; ეს იქნე-ბა შინ, მანქანაში, თუ ტელეფონით საუბარში. პა-რასკევს სალამოთი კინოში ვიყავით. ყველაზე საინ-ტერესო მომენტში იგი მომიბრუნდა და ჩამჩურ-ჩულა: „მოგკლავ, ფრენსის".

— მოწმეების თანდასწრებით თუ გემუქრე-ბათ? — შეეკითხა სერჟანტი.

— რა თქმა უნდა. ხომ მოგახსენეთ, ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტს იყენებს და სულაც არ ერიდება უცხო პირს. ორი კვირის წინ ჩემი და გვესტუმრა. ვახშმობისას რაღაც ამბავს გვიყვე-ბოდა. ჩემმა მეუღლემ სიტყვა შეაწყვეტინა: — მაპატიე, ველმა, — ჩემსკენ გადმოიხარა და მითხრა: „მოგკლავ, ფრენსის", შემდეგ ჩაიცინა და ველმას სთხოვა საუბარი განეგრძო.—მისის ტორ-ჩეზმა ნერვიულად აათამაშა თითები.

— ოდესმე თუ უთქვამს, როგორ აპირებს თქვენს მოკვლას?

— რა თქმა უნდა. იგი მეუბნება: შენ გაგიტანს მანქანა, ჩამოვარდები კიბიდან, გადავარდები ფანჯრიდან. (ჩვენ მეოთხე სართულზე ვცხოვრობთ), დიდი რაოდენობით მიიღებ ძილის წამალს.

— როგორც ჩანს, იგი გაიძულებთ აღელდეთ სიკვდილის პირამდე?

— სრული ჭეშმარიტებაა. ზოგჯერ ისე ავ-ღელდები ხოლმე, რომ გარშემო ვერაფერს ვამ-ჩნევ. დღესაც, აქეთ რომ მოვეშურებოდი, კინაღამ ავტობუსის ქვეშ ამოვყავი თავი.

— კეთილი, მაგრამ რით შემიძლია დაგეხმა-როთ? — შეეკითხა სერჟანტი ბეველაუ.

— მოელაპარაკეთ ჩემს მეუღლეს, ნუ მკლავს!

— კარგი, მოველაპარაკები, მაგრამ გთხოვთ ამ-იხსნათ, რატომ უნდა მას თქვენი მოკვლა?

— რატომ? განქორწინების ნებას არ ვაძლევ.— მტკიცედ წარმოთქვა მისის ფრენსისმა. აი სულ ეს არის და ეს. ნუთუ ესაა მიზეზი იმისა, რომ მომ-კლას!

— მეუღლეს ხომ არ უთქვამს თქვენთვის რა-ტომ სურს განქორწინება?

— როგორ არა. იგი განქორწინების ათას ერთ მიზეზს ასახელებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ერ-თიმეორეზე უფრო სულელურია. პირველი სულე-ლური მიზეზი: მე თურმე გემრიელ კერძებს არ ვამზადებ. ნუთუ ჩვენი ცხოვრების ოცდასამი წლის მანძილზე ეს ახალი აღმოჩენაა? როგორ მოგწონთ?! თქვენ ცოლიანი ბრძანდებით?

— დიახ, მემ.

— თქვენი მეუღლე გემრიელ კერძებს გიმზა-დებთ?

— როგორ გითხრათ, ისე რა.

— აი, ხომ ხედავთ, ქვეყნად უნაკლო არა-ვინ არის. მეორე სულელური მიზეზი: მე თურმე ისეთი მომხიბვლელი აღარა ვარ, როგორიც მას-თან შეუღლებისას ვიყავი. განა ეს სრული უაზ-რობა არ არის? მომიტევეთ უხერხული შეკითხ-ვისათვის — რამდენი წელიწადია, რაც დაქორწინ-დით?

— მალე თოთხმეტი გახდება, მემ.

— მიპასუხეთ, თქვენი მეუღლე ახლაც ისეთივე მომხიბლავია, როგორც თოთხმეტი წლის წინ იყო?

— ალბათ არა. ვერ ვიტყვი, რომ ისეთივეა.

— აი, — მისის ტორჩეზმა ნიშნის მოგებით დააკანტურა თავი. — მესამე სულელური მიზე-ზი: წარმოიდგინეთ, მას თურმე ჩემთან სასაუბრო აღარაფერი აქვს. ოცდასამი წლის მანძილზე რი-სი თქმაც სურდა, ყველაფერი მითხრა და ჩემგანაც მოისმინა ყოველივე, რაც უნდა მეთქვა. დავიჯე-რო, ცხოვრებაში არ გქონიათ შემთხვევა, როცა ცოლისათვის აღარაფერი გქონიათ სათქმელი?

— ნამდვილად, მემ.

— მეოთხე სულელური მიზეზი...

— მაპატიეთ, — შეაწყვეტინა სერჟანტმა, — ახლა ყველაფერი გასაგებია. თქვენი ნებართვით დავურეკავ თქვენს მეუღლეს და მოველაპარაკები.

— ო, დიდად დამავალებთ. რა მეშველებოდა უთქვენოდ?

— რასა ბრძანებთ, მემ! — სერჟანტმა ბეველა-უმ კარებამდე მიაცილა ქალი, მაგიდას მიუჯდა, ფიქრებში წასულმა გადაფურცლა რამდენიმე ქა-ღალდი, დააკაკუნა მაგიდაზე ფანქარი, აიღო ყურ-მილი და აკრიფა ნომერი.

— მისტერ ბერნარდ ტორჩეზი? სერჟანტი სტენლი ბეველაუ გახლავართ მეოთხე განყოფი-ლებიდან. დღეს ჩემთან ხომ არ შემოივლიდით? არა, არა, არავითარი ოფიციალურობა, — სერ-ჟანტმა დახედა მინის ჩარჩოში ჩასმულ მეუღლის სურათს და დაუმატა: — უაღრესად პირად საქმე-ზე. დიახ. ექვსი საათისათვის სამუშაოს ვამთავ-რებ, მობრძანდით, რჩევა უნდა გკითხოთ.

(ინგლისურიდან)

რუდი შტრალი

# უტყუარი საშუალება

ჩემს მეგობარ ოტოს ბედი წყალობს, იგი ყო-ველთვის ლამაზი ქალიშვილების გარშემოცვაშია.

— როგორ ახერხებ ამას? — ვკითხე ერთხელ.

— ძალიან ადვილად, — მიპასუხა მან, — თე-ატრში ორ ბილეთს ვშოულობ. თანაც ვარჩევ ყველაზე მოდურ სპექტაკლს. ბილეთებს წინასწარ ვყიდულობ. მოგეხსენება, ისე ვერ იშოვი. ხუთი წუთით ადრე სპექტაკლის დაწყებამდე მივდივარ თეატრთან და ვსეირნობ შესასვლელთან. ბუნებ-რივია, მეკითხებიან, ხომ არ მაქვს ზედმეტი ბი-ლეთი. ახლა გასაგებია?

— შენ არჩევ ყველაზე ლამაზ ქალიშვილს და მას აძლევ ბილეთს.

— სწორია, — ჩაიცინა ოტომ. — ქალიშვილი ბედნიერია. მან არ იცის, როგორ გადამიხადოს მადლობა. მადლიერება კი მოგეხსენება, სიყვარუ-ლის საწინდარია. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ თითქმის ორი საათი იგი ჩემს გვერდით ზის...

ჩემი მეგობრის ხერხი გენიალურად ჩავთვალე, რამდენადაც ის საშუალებას გვაძლევს ქუჩაშივე გავიცნოთ რომელიც გნებავთ სიმპათიური ქალი-შვილი. ამავე დროს, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ უარს არ გვეტყვის.

მეორე დღესვე ვიყიდე ორი ბილეთი. ბილეთე-ბის შეძენისათვის დიდი მოთმინების დახარჯვა დამჭირდა, რამდენადაც საბილეთო სალაროსთან რიგი რამდენიმე ათეულ მეტრზე იყო გაჭიმული.

სალამოს ზედმეტი ბილეთით მივედი თეატრ-თან. ბილეთის მსურველი ბევრი იყო. ვინ ვარ-ჩიო? გრძელფეხებიანი ქერა გოგონა თუ ეშხიანი შავგვრემანი? იქნებ იმ შავთმიანი ანგელოსისა-თვის, რომელსაც ესოდენ ნაზი გამოხედვა აქვს, შემეთავაზებინა ჩემს გვერდით ადგილი. ამ გა-ბედულმა გაფიქრებამ ცოტა არ იყოს შემაშინა, მაგრამ როგორც კი ბილეთი ამოვიღე, ქალიშვილ-მა მუდარით შემომხედა. მას, მხოლოდ მას! რაც იქნება, იქნება!

მოუხერხებლად მივაწოდე ქალიშვილს ბილეთი. ნეტავ მოგესმინათ მისი წკრიალა ხმა, როცა მად-ლობას მიხდიდა!

წარმოვიდგინე, როგორ დავსეირნობ მასთან ერ-თად მთვარის შუქზე, შევიგრძენი სიტკბო-სია-მოვნება ამ სეირნობისა. მე უკვე პატარა კაფეც დამიდგა თვალწინ, გოგონას ნაზი ჩურჩულიც გა-ვიგონე...

პირველი ზარი. ჩემი ლოჟისაკენ გავეშურე, უფ-რო სწორედ, ჩვენი ლოჟისაკენ. მოუთმენლად ვე-ლოდები შეხვედრას. ვიდრე ქალიშვილი მოვიდო-და, მისი სავარძელი ახლოს მოვწიე. სინათლე ნელ-ნელა ჩაქრა. ლოჟის კარი გაიღო და ბედნიერე-ბისგან თვალი დავხუჭე. როცა ფრთხილად გავა-ხილე თვალი, დავინახე, რომ ჩემს გვერდით ად-გილი დაკავებულია. მაგრამ რაშია საქმე! ნაცვლად შავთმიანი ანგელოსისა, სავარძელში ჩემი მეგობა-რი ოტო ზის!

— ცუდად ხომ არ ხარ? — მკითხა მან, როცა ჩემი სასოწარკვეთილი ამოოხვრა გაიგონა.

— არა, — ჩავილაპარაკე მე.

ოტომ შემომხედა.

— შენა ხარ?

მზად ვიყავი დამეხრჩო იგი, მაგრამ მაინც ვკით-ხე, საიდან აღმოაჩნდა ბილეთი.

— აი რაში ყოფილა თურმე საქმე, — თქვა ოტ-ომ,—ახლა მგონი რაღაცას ვხვდები. მართალი გით-ხრა, ძალიან მინდოდა ამ სპექტაკლის ნახვა, მაგრამ არც დრო მქონდა და არც სურვილი ხუთი საათი რიგში ვმდგარიყავი. ამიტომ გამოვგზავნე ახლად გაცნობილი ქალიშვილი. ლამაზი ქალი უბილე-თოდ არასოდეს არ დარჩება. ყოველთვის მოიძებ-ნება მამაკაცი, რომელსაც ასეთი ხერხით უყვარს ქალების გაცნობა.

(გერმანულიდან)



პროფესორი ოთარ ღუდუშაური და პატარა პაციენტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაციაზე.

# ხელმეორედ დაბადება!

ოპერაცია იწყება.

დაიბადა ბავშვი. ოჯახი სიხარულით აივსო, მაგრამ ბედნიერებას ნაღველი გაერია — ბიჭუნას ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა. წამოიზარდა, თანდაყოლილი ნაკლი თვითონაც შეიგრძნო. გულჩათხრობილი გახდა, იშვიათად იღიმებოდა, თანატოლებთან ყოფნას გაურბოდა...

დედას ურჩიეს: მოსკოვში ერთი ქართველი ექიმი ცხოვრობს, გვარად ღუდუშაური, სასწაულებს ახდენს, წაიყვანე შენი ბიჭი, იქნებ რამე უშველოსო. შორს წასვლა მაშინ ვერ მოხერხდა. გავიდა ხანი. პროფესორი ოთარ ღუდუშაური თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. ახლა უკვე ვაჟკაცობაში შესული კოჭლი ჭაბუკი თავად ეახლა მკურნალს.

მუშავდება რთული ოპერაციის გეგმა.





# კინო

## ირენ პაპასი კომედიურ როლში



იტალიელმა კინორეჟისორმა მაურიციო სკაპარომ თანამედროვე იტალიელი მწერლის კორადო ალვაროს პიესის მიხედვით შექმნა სატელევიზიო ფილმი „მედეა". რეჟისორი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ფილმში ეთამაშა ვინმე უცხოელ, სამშობლოდან განდევნილ მსახიობს. მან ფილმში მოიწვია სახელგანთქმული ბერძენი მსახიობი ირენ პაპასი, რომელიც რამდენიმე წელიწადია გაძევებულია საბერძნეთიდან და ცხოვრობს იტალიაში. საბჭოთა მაყურებლისათვის ირენ პაპასი ცნობილია შემდეგი ფილმებიდან: „ელექტრა", „ბერძენი ზორბა".

ირენ პაპასი ჩვეული მონდომებით შეუდგა მუშაობას და როლი თვრამეტ დღეში მოამზადა. ახალმა როლმა დიდი წარმატება მოუტანა მსახიობს.

არ გასულა თვეც, რომ იტალიურმა პრესამ ირენ პაპასის თაყვანისმცემლები კვლავ გაახარა: რეჟისორი მაურეციო სკაპარო ირენ პაპასს იღებს ახალ კომედიურ ფილმში — „ვენეციელი ქალი".

ირენი ამ ფილმში თამაშობს შუახნის ქალს, რომელსაც არ უნდა დანებდეს წლებს, არ უნდა დაიჯეროს რომ მისი სილამაზე დრომ წაიღო, იგი უიმედოდ არის შეყვარებული თავისზე უმცროს ჯულიოზე და ბრძოლა უხდება ახალგაზრდა, ლამაზ მეტოქეებთან.

ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: როგორც მაყურებლისათვის ცნობილია, მე ძირითადად დრამატული მსახიობი ვარ. ახალი როლი განა მარტო იმიტომ მიხარია, რომ ჩემს შემოქმედებას შევმატე კიდევ ერთი პორტრეტი. ეს როლი სრულიად განსხვავდება ჩემი ძველი როლებისაგან და იგი ძალიან მომწონს.

## როცა ვარსკვლავი ჩაქრა

იტალიელ კინოვარსკვლავს ანა მანიანის, ჩვენი მაყურებელი იცნობს კინოფილმებიდან: „რომი—ღია ქალაქი", „ყველაზე მშვენიერი". „ოცნებები გზებზე".

კინო კინო კინო კინო კინო



ეს. აპარატები ავადმყოფებს განკურნებაში ეხმარება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ აბაზანაში რადიკულიტს მკურნალობენ.



კონსულტაციაზე.

დადგა ოპერაციის დღე. ოთარ ღუდუშაური კიდევ ერთი გაბზარული სიცოცხლის გამრთელებას შეეცადა და ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ მიაღწია საწადელს. მე ის ჭაბუკი სულ ახლახანს შემხვდა. ბექებში ლაღად გაშლილი, გამართულად მიაბიჯებდა ქალიშვილის გვერდით... სწორედ მასთან შეხვედრამ და საუბარმა გადამაწყვეტინა, მივსულიყავი თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკურ საავადმყოფოში, იქ სადაც ოთარ ღუდუშაური და მისი კოლეგები მართლაც რომ სასწაულებს ახდენენ.

— ახალსახლობა 1972 წლის ოქტომბერში ვიზეიმეთ, — მიხსნის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი კარლო ბორჯაძე და დასძენს, — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ ოთარ ღუდუშაურის ავტორიტეტმა, უნიკალურმა ოპერაციებმა, რომლებსაც იგი ასე წარმატებით აკეთებს, შორს გაუთქვა სახელი ჩვენს საავადმყოფოს. პაციენტებს შორის ცოტა როდი არიან მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ერევნისა თუ ბაქოს მკვიდრნი. უცხოეთიდან ჩამოსულ ავადმყოფებსაც ვმკურნალობთ. ერთ-ერთმა მათგანმა, საბერძნეთის მოქალაქემ გრიგორი გრიგორიადიმ ამას წინათ ბარათი გამოგვიგზავნა. ამ ბარათში იგი ღუდუშაურს სწერს: თქვენ და თქვენს კოლეგებს დიდი მადლობა, 60 წელს მიტანებული კუტი ისევ კაცად რომ მაქციეთ, ურთულესი ოპერაციის საფასურად კი მხოლოდ ჩემი ღიმილი და მადლობა რომ იკმარეთო!

მთავარ ექიმთან ერთად საავადმყოფოს განყოფილებები დავათვალიერეთ, გავეცანით გამოცდილი ექიმების ალექსანდრე საბაურის, გივი კურტანიძის, ნოდარ ჭოლოკავას, უშანგი წიკლაურის, ალბერტ ესაიანის, ნატალია კაზაროვას, გურამ ქერქაძისა და სხვების ყოველდღიურ საქმიანობას... სახსრების ანთება თუ ხერხემლის გამრუდება, ბარძაყის თავის გადაგვარება თუ ამოვარდნილობა, რადიკულიტი თუ ძვლების არათანაბარი განვითარება, ვინ მოთვლის, რამდენნაირ ავადმყოფობას მკურნალობენ აქ.

ექიმის ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად, ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურშია უახლესი წამლები და აპარატურა, სამკურნალო ფიზკულტურა, ფიზიოდანადგარები...

დიდი ქალაქის ქუჩები, მოგეხსენებათ, მოულოდნელობებითაა სავსე. ამიტომაც არის, რომ საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ პუნქტში 24 საათის განმავლობაში მორიგეობს სამი ექიმი. მათი მონდომების წინაშე ხშირად თვით სიკვდილიც უკან იხევს.

ხელოვნური სუნთქვის აპარატს — დეფიბრილატორს მრავალჯერ აუმუშავებია გაჩერებული გული... და რაკი გული გაცოცხლდება, თეთრხალათიანი ადამიანები ძვალს ძვალს აბამენ, იარას კერავენ და სიკვდილთან ჭიდილში იმარჯვებენ.

# კინო



კადრი ფილმიდან „რომი—ღია ქალაქი".

ამ რამდენიმე ხნის წინათ რომი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის საყვარელ კინოვარსკვლავს.

მინერვას მოედანი ხალხით იყო გაჭედილი... ნემსი არ ჩავარდებოდა სანტა მარიას ეკლესიაში, სადაც ესვენა კინოვარსკვლავის ცხედარი. მის ხსოვნას პატივი სცა ყველამ. ერთ გვირგვინს, წითელი ვარდებისაგან შეკრულს, რომელიც მშობლიური ქალაქის მაცხოვრებლებმა მიუძღვნეს ანას, ასეთი წარწერა ჰქონდა: „ყველაზე მშვენიერს".

გაზეთი „უნიტა" წერს, რომ „რომს არ ახსოვს ასეთი დასაფლავება". მის დაკრძალვას დაესწრნენ იტალიის მთავრობის წარმომადგენლები, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელები, სენატორი კომუნისტები, კინოსა და თეატრალური სამყაროს ცნობილი წარმომადგენლები: კინოსცენარისტები, კინორეჟისორები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ორ თვეზე მეტი გავიდა, კინოვარსკვლავის დაკრძალვის დღიდან. გაზეთ „უნიტას" რედაქცია კვლავ ბეჭდავს მასალებს ანა მანიანზე. რედაქციაში მოდის კინოვარსკვლავისადმი მიძღვნილი უამრავი ლექსი, მოგონება, წერილი, სადაც ხალხი გამოხატავს თავის უსაზღვრო სინანულსა და სიყვარულს მსახიობი ქალისადმი.

რედაქციამ მიიღო წინადადებები, რომლებსაც ხელს აწერენ სხვადასხვა ფირმები, რომ რომის ერთ-ერთ კვარტალში — ტრასტევერეში აღიმართოს მსახიობის ძეგლი. არის საყვედურის წერილებიც. რედაქციას ეკითხებიან: „რატომ იყო უკანასკნელ ხანებში ასე მივიწყებული რეჟისორების მიერ ასეთი დიდი მსახიობი? მაშინ როცა აქ, რომში „საკუთარ სახლში" გვყავდა ანა მანიანი, ფილმ „მამაც დედაში" მთავარი როლის შემსრულებლად მოიწვიეს სოფი ლორენი. ტელევიზია თუ შესთავაზებდა მსახიობ ქალს რაიმეს, ისიც ძალიან იშვიათად".

მაყურებლის საყვედური საფუძველს მოკლებული როდია. დღეს მით უმეტეს, როცა მსოფლიოს კინოს სამყარომ აღიარა მისი ნიჭი. ამის ნათელი დადასტურება იყო ანა მანიანის გრანდიოზული დაკრძალვა რომში.

კინო კინო კინო კინო კინო

საქ. სსრ კ. მარქსის

# მნიშვნელოვანი მონოგრაფია

მიუხედავად იმისა, რომ კოტე მარჯანიშვილზე არსებობს ვრცელი და მრავლისმომცველი ლიტერატურა, დღემდე მაინც არ გვქონდა განმაზოგადოებელი სრულფასოვანი მეცნიერული ნაშრომი, სადაც ყოველმხრივ და სავსებით იქნებოდა გაშუქებული მეოცე საუკუნის უნიჭიერესი საბჭოთა რეჟისორის, ქართული სცენის რეფორმატორისა და ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის ხანგრძლივი, რთული და ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ეს რთული თეორიული ამოცანა პრაქტიკულად, გონებამახვილურად და ნიჭიერად გადაწყვიტა ეთერ გუგუშვილმა თავის ნაშრომში „რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი".

კოტე მარჯანიშვილის მსოფლმხედველობის და შემოქმედების ევოლუცია წიგნში განხილულია იმ საეტაპო ისტორიულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, რომლებმაც გადამწყვეტი ზემოქმედება იქონიეს მასზე. ავტორი ღრმად სწვდება და განსაზღვრავს კ. მარჯანიშვილის შემოქმედების იდეურ-მხატვრულ მიმართულებას, რაც უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ იგი ყოველთვის მიისწრაფოდა თავისი შემოქმედება თანადროულობისათვის დაეკავშირებინა, დრამატული ნაწარმოები თანამედროვე ჟღერადობის თვალსაზრისით აეხსნა და შეეფასებინა, ნაწარმოების გადაწყვეტა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ რევოლუციური ეპოქის მოთხოვნილებებისათვის დაექვემდებარებინა.

წიგნის ავტორი თანმიმდევრულად იხილავს კ. მარჯანიშვილის შემოქმედებას, ყურადღებას ამახვილებს რეჟისორის იდეურ მიმართულებაზე, რომელიც სათავეს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის რომანტიკული პათოსიდან იღებს და გამოხატულებას მეოცე საუკუნის დასასრულის ქართული თეატრის წარმოდგენებში პოვებს.

ავტორი წიგნში საინტერესოდ და დამაჯერებლად გადმოგვცემს კ. მარჯანიშვილის დამოკიდებულებას ჩეხოვისა და გორკის დრამატურგიასთან. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებული ფორმით გამოვლინდა კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ე. წ. „რიგის პერიოდში", იმ დროს, როდესაც იგი მ. გორკის დაუახლოვდა და რევოლუციის ამ „ქარიშხალას" კეთილმოქმედი იდეურ-მხატვრული გავლენა განიცადა. ნაშრომში მეცნიერული კვლევის თანმიმდევრობით არის ნაჩვენები კ. მარჯანიშვილის მიერ რიგაში, უფაში, ირკუტსკში, პერმში, ხარკოვსა და სარატოვში დადგმულ პიესებში რეჟისორული ხედვის თანდათანობითი გაღრმავება. ამავე დროს ავტორი აქ მარჯანიშვილის მიერ დიდი მწერლის იდეების თანდათანობით წვდომის სურათსაც გადმოგვცემს, რამაც განაპირობა პროლეტარულ, სოციალისტურ კულტურასთან რეჟისორის დაახლოება. ავტორის მიერ ასევე სწორად არის გაგებული და გადმოცემული საზოგადოებრივ-მხატვრული პროცესები და რეჟისორის შემოქმედებითი სახე წიგნის იმ თავში, რომელიც მარჯანიშვილის მოღვაწეობას ეძღვნება უკრაინასა და მოსკოვში რეაქციის წლებში.

საინტერესოდ ასახავს ავტორი მარჯანიშვილის სამი წლის მუშაობას მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

ეთერ გუგუშვილი საქმის ცოდნითა და მასალის ღრმად ცოდნით იხილავს კ. მარჯანიშვილის დამოკიდებულებას სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, მათ შემოქმედებით ურთიერთობას, კ. მარჯანიშვილის მიერ კ. სტანისლავსკის სისტემის დაუფლებას. აქ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კ. მარჯანიშვილის მიერ სამხატვრო თეატრში დადგმული (ან დასადგმელად მომზადებული) წარმოდგენების „ჰამლეტი", „ძმები კარამაზოვები", „ცხოვრების ბრჭყალებში" და „პერგიუნტის" განხილვისას გამომჟღავნებული ავტორის მაღალი პროფესიულობა. ეს მაღალი პროფესიულობა და თხრობის ემოციურობა წიგნს საერთოდ ახასიათებს. ყოველი სპექტაკლის განხილვისას ეთერ გუგუშვილი არ სჯერდება მხოლოდ მეცნიერულ ანალიზს, ფაქტების გადმოცემა-განხილვას და მის შედეგად დასკვნების გამოტანას. მისი თხრობის ფორმა ხატოვანია, ხედვითად ხატოვანი და ფრაზა ემოციურად ქმედითი.





წიგნში ასევე საინტერესოდ არის განხილული კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი „თავისუფალი თეატრი", რომელიც შეფასებულია როგორც ორიგინალური, მნიშვნელოვანი მოვლენა და რეჟისორის ნოვატორობის საწყისი. კ. მარჯანიშვილმა პირველად აქ გამოამჟღავნა „სინთეტიური თეატრის" პრინციპები და „სინთეტიური მსახიობის" აღზრდის თავისი თეორია. ამ თეორიით კ. მარჯანიშვილი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა თეატრალური ხელოვნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს, მაგრამ იგი (და არც თუ უსაფუძვლოდ) არ ეთანხმებოდა ხელოვნების ამ ფორმების მკაცრ დადგენილ ჩარჩოებში ჩაკეტვას. მისი აზრით „ადამიანის სულიერი ცხოვრების" გახსნისას საჭირო იყო ხელოვნების ამ ფორმებს ერთმანეთისაგან ესესხათ სცენიური გამომსახველობის საშუალებები. იგი მოითხოვდა მსახიობის მრავალმხრივ განვითარებას, მსახიობისას, რომელიც შეძლებდა ყოფილიყო დრამატულ წარმოდგენაში მუსიკალურად პლასტიკური, ხოლო საოპერო დადგმაში დრამატიზმით აღსავსე.

წიგნში ცალკე თავი ეძღვნება კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობას ქართულ თეატრში, . რომელსაც იგი ოცდახუთი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა და ქართული ეროვნული თეატრის განახლების ინიციატორად და რევოლუციური განახლების მედროშედ იქცა.

ქართული თეატრის ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით იხილავს ეთერ გუგუშვილი კ. მარჯანიშვილის თეატრალურ მოღვაწეობას საქართველოში, აანალიზებს მას ძვირფასი ისტორიული მასალის საფუძველზე და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებსა, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და იმ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში განიხილავს, რომლებიც ქართულმა თეატრმა რუსული და ქართული თეატრების საუკეთესო წარმომადგენელთა ურთიერთობის შედეგად მიიღო მემკვიდრეობად. ამ ასპექტში წიგნის ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას რუსული და ქართული კულტურის ურთიერთზეგავლენის პრობლემატურ საკითხზე, რომელმაც ასე მკვეთრად იჩინა თავი კ. მარჯანიშვილის შემოქმედებით ცხოვრებაში.

ავტორი თავის წიგნში მარჯანიშვილის შემოქმედებას ახასიათებს, როგორც ინტერნაციონალიზმის ღრმა, განსაკუთრებულად მკვეთრ გამოხატულებას. მის შემოქმედებაში პატრიოტიზმი, მშობლიური ხალხის, მისი კულტურის, ფოლკლორის და გმირული წარსულის სიყვარული ვერ ეთავსება ნაციონალურ ეროვნულ შეზღუდულობას. წიგნში დაწვრილებით და ღრმა მეცნიერული ალღოთია გაანალიზებული ქართულ სცენაზე კ. მარჯანიშვილის პირველი წარმოდგენები, რომლებმაც ქართულ თეატრს სიცოცხლე დაუბრუნეს და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ეროვნულ საბჭოთა სცენას.

სათანადო ყურადღება ეთმობა წიგნში კ. მარჯანიშვილის რეჟისორულ მოღვაწეობას მის მიერვე შექმნილ თეატრში, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. აქ თანმიმდევრულადაა განხილული რეჟისორის ნამუშევრები, როგორც ქართულ ორიგინალურ რეპერტუარზე შ. დადიანის — „კაკალ გულში", პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", კ. კალაძის — „როგორ" და სხვა, ასევე რუს და უცხოელ ავტორთა (ვ. კირშონის, ნ. პოგოდინის, ა. აფინოგენოვის, ი. ოლეშის, მ. კულიშის, ი. მიკიტენკოს, შექსპირის, შილერის, მოლიერის, შოუს, გუცკოვის და სხვათა) პიესებზე. ყოველი ამ სპექტაკლის განხილვიდან, გარდა ზემოაღნიშნულისა, მკითხველი ხედავს, თუ როგორი თანმიმდევრობით ეძებდა კ. მარჯანიშვილი ქართული თეატრის განვითარების ეროვნულ ფორმებს. ყოველი წარმოდგენა მისთვის იყო ექსპერიმენტი, ეტაპი ქართული თეატრალური სანახაობითი ელემენტების ძიების გზაზე. თეატრში ეროვნული კოლორიტის მისაგნებად, სცენაზე ქართული ცხოვრების რიტმის შესაქმნელად, იგი დაჟინებით ეძებდა ფერებს, ინტონაციებს, იყენებდა ქართულ ეროვნულ რიტუალებსა და ზნე-ჩვეულებებს.

ასევე ფართოდაა წიგნში განხილული თეატრის გასტროლები კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მოსკოვსა და უკრაინაში.

წინათქმაში, სადაც წიგნის ავტორი ხელოვნებაში კ. მარჯანიშვილის პოზიციებზე მსჯელობს, აღნიშნავს: „თეატრზე მისი შეხედულებების მთავარი და განმსაზღვრელი, მთელი მისი სარეჟისორო ძიებების დადასტურება იყო მხნე, დღესასწაულებრივი თეატრის რეალისტური ხელოვნება, რომელშიაც პირველ პლანზე სცენიური სიმართლის მატარებელი რეალისტური მსახიობი უნდა მდგარიყო".

წიგნის მთელ მანძილზე ავტორი თანმიმდევრულად ამტკიცებს, რომ სწორედ ეს პრინციპები იქცა კ. მარჯანიშვილის შემოქმედების ლოზუნგად, რომ ამ პრინციპებით გაიკაფა მან გზა ხელოვნებაში, შეასრულა დიდი როლი რევოლუციამდელი რეალისტური თეატრის გამდიდრების საქმეში, გახდა საბჭოთა თეატრალური კულტურის ერთ-ერთი პირველი მშენებელთაგანი და ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი.

ძალიან ძნელია წერა რეჟისორის შემოქმედებაზე, მის ხელოვნებაზე, ეს მით უფრო ძნელი ხდება მაშინ, როდესაც ის უკვე ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში დასკვნების გაკეთება გვიხდება იმ მოგონებების, რეცენზიების, წარმოდგენის ესკიზების და მაკეტების საფუძველზე, რომელიც დრომ შემოგვინახა. ამდენად უფრო დასაფასებელია ნიჭიერი თეატრმცოდნის ეთერ გუგუშვილის მიერ გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა, რომლის შედეგადაც მან გადალახა სიძნელეები და შექმნა კაპიტალური, მეცნიერულად დასაბუთებული, შემოქმედებითი გზნებით აღბეჭდილი წიგნი-მონოგრაფია, რომელშიაც დიდი ხელოვანის რთული და საინტერესო გზაა ასახული.

**დიმიტრი ალექსიძე.**

## ყვავილი

# აფორიზმები

დიდება სათნო კაცისა მის საკუთარ გულშია და არა სხვის ენაზე. **ბერნარი**

გაუფრთხილდით თქვენი შვილების ცრემლს, რომ მერე თქვენს საფლავზე დაღვარონ. **პითაგორი**

უმწიკვლო გული და ყოფაქცევა უმთავრესი დიდებაა დედაკაცისა. **მადამ-მენტენონი**

კაცობრიობა არ ბერდება, პირიქით, ის თანდათანობით ახალგაზრდავდება. **ბერუე**

კაცობრიობა — აი რაში არის უკვდავება მოკვდავი ადამიანისა. **ბერნე**

სამყარო მშვენიერია და მის გარეშე არ არის ხსნა. **კამიუ**

მსოფლიო ჩვენს ჰორიზონტზე არ თავდება. **ლემერი**

საძაგელია ის ქვეყანა, სადაც ადამიანი ადამიანზე ბატონობს. **ნეზვალი**

ყველაფერი დენადია, — უძრავი არაფერია სამყაროში. **ოვიდიუსი**

მსოფლიო ეს სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, გარემო კი არსად. **პასკალი**

ვინც ივიწყებს ქვეყნიერებას, მას ქვეყნიერებაც დაივიწყებს. **პოპი**

სამყარო სულ სხვანაირად წარმოგვესახება, თუ მას არამარტო ჩვენი შეხედულებებით განვსჭვრეტთ. **რაბე**

სამყარო სარკეა და ის ყველას უბრუნებს მის საკუთარ გამოსახულებას. **ტეკერეი**

ბუნებამ ადამიანს წაუყენა მოთხოვნილება იზრუნოს ყველა ადამიანზე. **ავრელიუსი**

ბუნება არავითარ უფლებებს არ ემორჩილება, მისთვის ცნობილია მხოლოდ კანონები. **ადამს ჯეიმსი**

ჩვენ ვწვდებით ბუნებას მასთან წინააღმდეგობაში. **ბაშლარი**

გარდაუვალია უბედური შემთხვევა, რომელიც უსათუოდ განპირობებულია ბუნების კანონების მოქმედებით. **ბირსი**

ბუნება ადამიანს აჯილდოებს გენიით, საზოგადოება — ჭკუით, სწავლა—გემოვნებით. **ბონალდი.**

ბუნება ყველა შემოქმედის შემქმნელია. **გოეთე**

საზოგადოებამ არაფერი არ უნდა ითხოვოს მისგან, ვინც არაფერს არ ელოდება საზოგადოებისგან. **ჟორჟ სანდი**

ორი რამ ხდის ადამიანს ღვთისებურს: სიცოცხლე საზოგადოების კეთილდღეობისათვის და სამართლიანობა. **პითაგორი**

პირადმა მოთხოვნილებამ, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს უნდა დაუთმოს ადგილი. **პლინიუსი (უმცროსი)**

არაფერი არ არის ისე დამღუპველი, როგორც პირადი ინტერესების გავლენა საზოგადოებრივ საქმეებზე. **ჟან ჟაკ რუსო.**

საზოგადოება ცხოვრობს არა უარყოფითი, არამედ დადებითი იდეებით. **სენ-სიმონი**

საზოგადოებრივი კეთილდღეობა ყველაზე კეთილშობილური სტიმულია. **სტილი**

ადამიანს საზოგადოებაში იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ის მას ემსახურება. **ფრანსი**

მაღალი საზოგადოებაა: უგულო ქალები, უტვინო მამაკაცები: ისინი ერთმანეთის ტოლნი არიან. **დეტუშე ჰენრი.**

სენატში ღარიბებს ადგილი არა აქვთ, ძალაუფლება მხოლოდ მდიდრებს ეძლევათ. **ოვიდიუსი**

# სალომე ყანჩელი ახალ როლში

რუსთაველის თეატრში „თუთარჩელას" რეპეტიციები მიმდინარეობდა... სერგო ზაქარიაძემ თეატრში მიმიპატიჟა და რეპეტიციაზე დამასწრო.

სპექტაკლი მეგრული მოთქმით დაიწყო, მოთქვამდა ქვრივი ტატუ კალანდარია, პატიოსანი მშრომელი ქალი, თავგადაკლული დედა. ქმარი ტატუს ომში დაეღუპა, ობლობაში გამოზარდა თავისი ერთადერთი სასახელო შვილი.

სალომე ყანჩელმა — ტატუმ მოთქმა დაამთავრა, გული მოიოხა, თითქოს თავის მწარე წარსულს საბოლოოდ გამოემშვიდობა და შვილთან და რძალთან საზეიმო შეხვედრის სამზადისს შეუდგა. ტატუს შვილი ექიმი გუგუ კალანდარია თავისი ცოლით სოფელში ჩამოდის სამუშაოდ. დედა ღელავს შეხვედრის წინ. სარკის წინ ტრიალებს, წარმოდგენით შვილს და რძალს ელაპარაკება, — სიბერეს, მარტოობას და მიუსაფრობას უჩივის. ოთახებს ალაგებს, ჰგვის, რეცხავს, ხაჭაპურებს აცხობს...

თითქოს ჩვეულებრივი ყოფითი სცენა უნდა გაითამაშოს მსახიობმა... მოულოდნელად სალომე ყანჩელმა „ტრაგედია" შემოგვთავაზა: დაიწყო სულისშემძვრელი მოთქმით და დაამთავრა რაღაც დიდი უბედურების მოლოდინით.

ტატუს სახის ამგვარმა გაგებამ, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწარმოების მიხედვით ტატუ ასეთი არ იყო.

ახლა როცა მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, ვნებები დაცხრა და შეიძლება მიუკერძოებელი მშვიდი მსჯელობა, პირდაპირ უნდა ითქვას, მსახიობის ჩანაფიქრი უაღრესად საინტერესო იყო. ის თამაშობდა დედას, რომელიც წინასწარ გრძნობს შვილის უბედურებას, ტანი უგრძნობს, გული ეუბნება, სიზმრები არ ასვენებს.

ტატუ ხომ ხუთი თითივით იცნობს შვილს, იცნობს მშობლიურ სოფელსაც. მისი შვილი პატიოსანი, ალალ-მართალი, სამართლიანობისათვის შეუპოვარი მებრძოლია. სოფელი კი ჭრელია,... ვინ იცის რა მოხდება.

სალომე ყანჩელმა ჩვეულებრივი ჩაის მკრეფავი, მშრომელი ქალი პლუს გმირიც ითამაშა. რამაც ახალი ფერი და მასშტაბი შესძინა სახეს და უფრო საინტერესო და მომხიბლავი გახადა პერსონაჟი.

„თუთარჩელას" რეპეტიციებზე ნათლად ჩანდა, რომ სალომე ყანჩელი ვერ ეტეოდა მეორეხარისხოვანი როლის კალაპოტში და ადიდებულ მდინარესავით ნაპირებს აწყდებოდა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, მაღალმხატვრულ, ახალ, ცოცხალ ხასიათს მოითხოვდა. ასეც მოხდა: რუსთაველის თეატრმა ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი" დადგა და მთავარი როლი სალომე ყანჩელს შესთავაზა. სალომე ყანჩელის ფანტაზიას, ვნებებსა და ტემპერამენტს სრული თავისუფლება მიეცა.



ამ სპექტაკლში სალომე სულ სხვაგვარ დედად მოგვევლინა; ბერნარდა ალბა დედაც არის, სახლეულის უფროსიც, სოფლის ჭკუის მასწავლებელიც, ტირანიც.

გასაოცარი ინტერესით, ერთგვარი თანაგრძნობით და სიყვარულითაც კი შესცქერის მაყურებელი სალომე — ბერნარდას მთელი საათნახევრის განმავლობაში და სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ებადება კითხვა. ბერნარდა ალბა ხომ სულაც არ არის თანაგრძნობის ღირსი, დედა ქალიშვილებს ჯოჯოხეთში ამყოფებს, მონებივით ამუშავებს, გარეთ გახედვის ნებას არ აძლევს. შეიძლება ასეთი ქალი თანაგრძნობას და პატივისცემას იწვევდეს?! — შეიძლება. ბერნარდა ალბა თავისი ოჯახის, თავისი ქალიშვილების პატიოსნებას იცავს, ის მართალია სინდისის წინაშე, მტკიცედ სწამს და სჯერა, რასაც აკეთებს.

სალომე ყანჩელი დიდი ოსტატობით, იშვიათი ფერადოვნებითა და არტისტიზმით გვიხატავს ძლიერი ხასიათის, შეუპოვარი, მტკიცე ბერნარდას ტრაგედიას.

მსახიობი არ ერიდება მუქ ფერებს, არ ცდილობს „ზედმეტი არ მომივიდეს" შიშით თავი შეიკავოს, ნათლად და გულღიად გამოხატავს იმას, რასაც გრძნობს, ამით კი გასაოცარ შედეგს აღწევს.

სალომე — ბერნარდას სცენაზე გამოჩენისთანავე, ვიდრე ის სიტყვას იტყოდეს, გრძნობთ, რომ მოვიდა გმირი, რომელიც დაგვიმტკიცებს თავის სიმართლეს და დაგვაჯერებს. მსახიობი ამას ახერხებს მოძრაობით, მიხრა-მოხრით, გამოხედვით.

ხოლო როცა ოჯახის წევრებს წესრიგისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებს, სალომე — ბერნარდა ჭკვიანია, ზვიადი და მკაცრი.

— დაჯექით და იგლოვეთ მამათქვენი! — გაბოროტებით შესძახებს ბერნარდა ქალიშვილებს, როცა შეატყობს, რომ მათ ადამიანური ვნებები შეიპყრობთ.

ყანჩელის ეს რეპლიკა ღიმილსაც იწვევს და შეშფოთებასაც.

ყველა ნათლად ხედავს, რომ ბერნარდა ალბას თავისი ქალიშვილები ამგვარი ფანატიკური გლოვითა და წესიერების მოთხოვნით დაღუპვის კარამდე მიჰყავს, მიჰყავს სიგიჟემდე, თვითმკვლელობამდე...

ყოველივე ეს მაყურებლის თვალწინ ხდება, მაყურებელი მოწმეა ბერნარდას დიდი ტრაგედიისა და სულმოუთქმელად მოელის საზარელ ფინალს.

სალომე ყანჩელის ბერნარდა გამოკვეთილი, მთლიანი მონუმენტური სახეა.

ყველა ნამდვილ მსახიობს შეუმჩნევლად მიეპარება ხოლმე შემოქმედებითი სიმწიფის, ოსტატობის და სრულყოფის ჟამი. უთუოდ მსახიობ სალომე ყანჩელის ჟამიც დადგა.

ნოდარ წულეისკირი



# ნაირ-ნაირი



## რეკორდსმენები

იაპონელმა მომღერალმა ოსამუ სუმიესიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმღერის ხანგრძლივობაში. იგი შეუსვენებლად მღეროდა 48 საათი და 21 წუთი.

ოსამუ სუმიესის მთელი სასიმღერო რეპერტუარი მისი საყვარელი ხუთი სიმღერისაგან შედგებოდა.

თავისებური რეკორდი დაამყარა აგრეთვე 83 წლის სინგაპურელმა ტაკუ ალმან ფუი ამიმ. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იგი 78-ჯერ განქორწინდა ცოლებთან.

— ოჯახს ყოველთვის მე ვანგრევდი, უკანასკნელი ცოლი კი თვითონ გამექცა, — თქვა რეკორდსმენმა და სინანულით დასძინა, — როგორც ეტყობა, ვბერდები.



## ავტომანქანების მსხვერპლნი

პირველი ავტოავარია, სასიკვდილო შედეგით ინგლისში 1896 წელს ალინუსხა. 44 წლის ბრიჯიტ დრიზკოლს ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გადასვლის დროს მანქანა დაეჯახა და იქვე გაათავა.

მას შემდეგ 77 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ინგლისის გზებზე ავტომანქანების კატასტროფის შედეგად 350 ათასი კაცი დაიღუპა.

საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ტრაგიკული იყო 1971 წელი. ამ წელს საგზაო ავარიების შედეგად 16 ათასი კაცი დაიღუპა, 350 ათასმა კაცმა კი სხვადასხვა სახის ჭრილობა და დასახიჩრება მიიღო.



## ჯარიმა

ლივერპულში ამას წინათ ერთმა მოქალაქემ სასამართლოში უჩივლა ქალაქის საფოსტო უწყებას.

— რატომ უჩივით საფოსტო უწყებას? — ჰკითხა მოსამართლემ მომჩივანს.

— ჩემი მეუღლის წერილი, რომელშიც მხოლოდ ერთი ფრაზა ეწერა: „მე შენ სამუდამოდ გტოვებ", ფოსტამ სამი დღის დაგვიანებით გადმომცა.

— რა ზიანი მოგაყენათ ამან?

— ძალიან დიდი! ფოსტის მოუქნელმა მუშაობამ მე სამი დღის უდიდესი ბედნიერება წამართვა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, საფოსტო უწყებას ჯარიმა გადახდა დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ.



## უსიხარულო პერსპექტივა

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა კრიმინალისტმა, სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციის უფროსმა კიელნა ჰანს ვერნერ ჰამახერმა ამას წინათ გამოაქვეყნა გამოკვლევა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დანაშაულებათა ზრდის შესახებ.

ჰამახერი, ფაქტების გაანალიზების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1980 წლისათვის დასავლეთ გერმანიაში მძარცველობა გაიზრდება ოთხჯერ, გაქურდვა კარის გატეხვით — ათჯერ; ყოველდღიურად მოხდება 11 მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, ყოველ საათში — გაუპატიურება, ყოველ სამ წუთში — ავტომანქანის გატაცება.

# კროსვორდი




კორიზონტალურად:

3. ნაძვის ან ფიჭვის ხის ხმელი ნაფოტი ცეცხლის დასანთებად. 6. გარეული ვირი ირანსა და ავღანეთში. 9. მითოლოგიური ქალღმერთი. 10. მუსიკალური ნაწარმოების სახეობა. 11. მატყლის დასართავი პრიმიტიული მანქანა. 12. საერთაშორისო კინოფესტივალებით ცნობილი ქალაქი-კურორტი საფრანგეთში. 13. ნახევარკუნძული ახლო აღმოსავლეთში, სადაც იყო ძველი ქართული კულტურის ძლიერი კერა. 16. ჩაიკოვსკის ბალეტის პერსონაჟი. 17. ემილ ზოლას რომანი. 19. ქართული კინოფილმი. 22. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთის სპეციალისტი. 25. ალ. ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟი. 27. უდაბნო და ზეგანი აზიაში. 28. ფრანგი კომპოზიტორი. 30. მწვერვალი კავკასიონზე. 31. ელადის მითიური მეფე, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჰერაკლეს მე-7 გმირობა. 33. ქვის ხანის უძველესი პერიოდი. 34. ნორვეგიელი კომპოზიტორი.

ვერტიკალურად:

1. მტაცებელი ფრინველი. 2. კვარცის ნაირსახეობა. 3. ანტიკური ხანის რომაელი პოეტი. 4. ებრაელთა სალოცავი ადგილი. 5. მე-18 საუკ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე. 7. თბილისის ძველი უბანი. 8. მეტყველების მოშლილობა. 14. ტურგენევის მოთხრობა. 15. იტალიელი მომღერალი. 18. ფრანგი მწერალი და განმანათლებელი. 20. ქალაქი და არხი ევროპაში. 21. ბასკეთის დედაქალაქი. 23. არგონავტთა ლაშქრობის ხელმძღვანელი. 24. ფიზიკოსი, სატელეგრაფო ანბანის შემქმნელი. 26. რუსი მწერალი. 29. სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიაში. 30. ერთი მონარქის ხელისუფლებით გაერთიანებულ სახელმწიფოთა კავშირი. 32. ცნობილი დანიელი ფიზიკოსი.

გადაეცა ასაწყობად 9/XI-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.300, შეკვ. № 3609, უე 13639. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

## კაკალ გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

ნახატი გიგლა ფირცხალავასი



—სუნზე გატყობ, „ტიბაანი“ გაქვს დალეული!
— მართალი ხარ, უფროსო!
— თუ კაცი ხარ, სად იშოვე?

ნახატი გიგლა ფირცხალავასი



— ჩვენს ბინაში დღეიდან ეს ცხოველი იცხოვრებს.
— გადაირიე, კაცო?!
— უწყლოდ მარტო აქლემს შეუძლია გაძლოს.

ნახატი დიმიტრი ერისთავისა



უსიტყვოდ.

ნახატი ამირან ერაძისა

# ნეიტრალიტეტი

— კაცო ხომ ხედავ, ვვარდები,
შემომაშველე ხელები!
— გინდაც წაიქცე, მე მაინც
ვერაფრით შეგეშველები,
რადგან ასეთი ზნისა ვარ —
სხვის საქმეში არ ვერევი
— ხურჯინი მაინც ჩამომხსენ,
ამ ოხერს ვეღარ ვერევი.

— წელიც რომ მოგწყდეს, ვერ მოგხსნი,
სხვის საქმეში არ ვერევი.
— წადი, შენს ბიძას მიჰხედე!
კეტითა სცემენ გერები.
— რაც უნდათ, ის ქნან, რა ვუყო,
სხვის საქმეში არ ვერევი.
— გოგია ნახე, უთხარი,
დედა უკვდება ხველებით.

— გინდაცა ვნახო, არ ვეტყვი,
სხვის საქმეში არ ვერევი.
— კეკლუცი გეალერსება,
შენც ცოტა მოეფერევი.
— ნუ დამავალებ, თუ ძმა ხარ,
სხვის საქმეში არ ვერევი.

ზაალ გახუტიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056